საქართველო

წლიწადი მეხუთე | ოთხშაბათი, 13 მარიამობისთვე 1919 წ. № 172 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა—2 მ. 50 კ. ხისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:— თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73.

ყურადღება!.. მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის ყურადღება!..

დაწმენდილი არაყი, კონიაკი და კახური ღვინო

ძმ. სესიაშვილებისა

(ღვინო იყიდება „ვედრობით“ და „ბოჭკობით“ ხელმისაწვდენ ფასებში) მისამართი ვაგზლის ქ., 6. ტელეფ. 25—86

25—86—15

გამოვიდა და იყიდება

ალ. ასათიანის წიგნი

მიწის საკითხი საქართველოში.

1) მიწად მფლობელობის ფორმები. 2) მიწად-მფლობელობა საზოგადო და კერძო საკუთრებით. 3) სახელმწიფოს სააგრარო პოლიტიკა. 4) მიწად-მფლობელობის მასალები. სახაზინო, საუფლისწულო და ხიზნების მიწა. 5) კერძო მიწად-მფლობელობა. 6) კერძო მიწად-მფლ. რაოდენობა და მიწის ფონდი. 7) მეურნეობის პირობები. 8) სოციალისტური პარტიების სააგრარო პოლიტიკა. 9) მეურნეობის დიფერენციაცია. 10. მიწის საკითხი ევროპის სახელმწიფოებში. 11) რევოლიუციური სააგრარო პოლიტიკა. 12) ბოლოსიტყვაობა.

10 ნ—10

გამოვიდა

ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსების წიგნი: დაისები

გამოცემა „კირჩხიბის“, ფასი 25 მანეთი.

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ საზოგადოების აქციონერთა

საზოგადო კრებ. გაგრძელება

დანიშნულია პარასკევს, 15 მარიამობისთვეს, საღამოს 7 საათზე, სავაჭრო სამრეწველო პალატის ბინაზე. (ფრეილინის ქუჩა № 11).

3—156—2

ერთს ან ორს ოთახს

ვეძებ ვერაზე

იკითხეთ გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში. გ. ლეონიძეს.

4—157—1

განაპირებს მივხედოთ!

სიმპტომატიური მოვლენებია ამიერ-კავკასიის მოსაზღვრე რაიონებში ოსმალთა ჯარი თავს იყრის და მოძრაობს, ნახიჩევან-ერევნის რაიონებში ოსმალო ოფიცრები და ასკერები უკვე აქტიურ მონაწილეობას იღებენ სომეხ-თათართა შეტაკებაში. ეს გარემოება თვალწინ ჰშლის საერთო გართულების პერსპექტივას. ისეა ერთი ერთმანეთზე გადაბმული ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა ცხოვრება და იმდენად დამოკიდებულია თითეული მათგანის მდგომარეობა რომ ერთი რომელიმე კუთხის დარღვეული მშვიდობიანობა სულ ადვილად ხდება საერთო ხიფათის და განსაცდელის ფაქტორად. კერძოდ საქართველოსთვის ყოველ ასეთ შემთხვევაში ეს განსაცდელი პირველად თავს იჩენს ხოლმე განაპირა კუთხეებში, რადგან აქ არის სწორედ მაქსიმალური სისუსტე ჩვენი სახელმწიფოებრივი იდეისა და ეროვნული შეგნებისა.

ჩვენი თავდაცვის ღია კარებია— ჩვენი განაპირა კუთხეები. ამ მხრივ ჩვენი ქვეყანა არ მიაგავს ნორმალურ მდგომარეობის ქვეყანას, სადაც განაპირა ზონები ქვეყნის სიმტკიცის კედლებს წარმოადგენენ. აქ ამის მიზეზი საინტერესო არაა, ჩვენ ანგარიში ამ ფაქტს უნდა გაუწიოთ.

ასეთ პირობებში ჩვენი განაპირა კუთხეები საგანგებო პოლიტიკის საგნად უნდა გამხდარიყო. ყოველი მათი თავისებურობა სათანადოთ უნდა აწონილ-დაწონილიყო და შეფასებულიყო. აქ ამ კუთხეებში უნდა დაბერტყილიყო მთელი სახელმწიფოებრივი გამჭრიახობა ჩვენი პოლიტიკის შემოქმედთა. საგანგებოდ ამ კუთხეებისათვის უნდა მომხდარიყო როგორც სახელმძღვანელო იდეის, ისე ამ იდეის აღმასრულებელ პირთა მეტად ფრთხილი შერჩევა. მაგრამ ეს დღემდე ვერ შეიგნეს და ვერც მოახერხეს ჩვენმა ხელმძღვანელებმა. თავისებურობას და სხვაობას მათ თვალში ფასი არ მიეცა. ყოველგან ერთის განყენებულის ფორმულით შედიან. ყოველგან ერთი აქვთ ლოზუნგი. ყოველი მონასტრისთვის—ერთი წესდება. ამან ბევრი ხიფათი გადაგვკიდა და არც მომავალში გვიმზადებს ბედნიერებას. განსაცდელის მომავალს გვიქმნის სომეხ-თათართა ეს ატეხილი შეტაკება და ოსმალეთის აშკარა მონაწილეობა ამ შეტაკებაში, მოსალოდნელია ამ შეტაკების გაფართოვება და ოსმალთა ჩარევის გაძლიერება, რაიც წარმოშობს სათანადო პროპორციით გაზრდის კიდევაც საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებას მის განაპირა კუთხეებში. ბათომის მხარე, მესხეთ-ჯავახეთი და სოხუმის მხარე ამგვარ მოქმედების კერად გარდაიქცევიან. თითეულ ამათგანს საბედისწერო მნიშვნელობა აქვს საქართველოს დამოუკიდებელ არსებობისათვის. ყოველი მათგანი ერთიქეროვნად ზედმეტ ყურადღების და მოვლის საგანი უნდა იყოს. მაგრამ დღევანდელ პირობებში განსაკუთრებული ყურადღება სოხუმის მხარეს უნდა მიექცეს. ამ მხრიდან გვაწვება დაუძინებელი და მოსისხლე მტერი—რუსეთი, რომელიც ყოველიფერს შეურიგდება, გარდა საქართველოზე ხელის აღებისა. დენიკინი მხოლოდ დროს ეძიებს. და ეს მხარე, საიდანაც უდიდესი საფრთხე მოგველის, დღეს სავსეა ჩვენი მტრებით და ეს მტრები აშკარად და თამამად მოქმედებენ ჩვენდა ასაფეთქებლად. უკვე მიაღწიეს ერთ დიდ მიზანს, მთელი აფხაზობა საქართველოსადმი მტრობით და მძულვარებით გაჟღენთეს; მორალურად და პსიხოლოგიურად სოხუმის ოლქის ძირეული მოსახლეობა, ეს ჩვენი ისტორიული მეგობარი და თანამშრომელნი საერთო სახელმწიფოებრივ შემოქმედების ასპარეზზე, აგვიჯანყეს და აგვიმხედრეს. ოლქში მობინადრე რუსობა და სომხობა, აფხაზ-ქართველთა ურთიერთობას რომ ამწვავებს, მეთაურობს და მიუძღვის საერთოდ საქართველოს სამტრო მოქმედებას.

მტკიცება ამებისთვის საჭირო არ არის, ყველამ იცის რომ დღეს აფხაზეთში ჩვენი მდგომარეობა მეტად საშიშოა. თვით მთავრობამ აღიარა ეს, დამფუძნებელ კრებაში აფხაზეთის შესახებ შეკითხვა რომ ირჩეოდა. პირველი მიზეზი აფხაზთა უკმაყოფილებისა და საქართველოს პრესტიჟის დაცემისა მთელს აფხაზეთში ისევ ჩვენა ვართ. ჩვენის უტაქტობით, ქუჩურის დემაგოგიით და სრული სახელმწიფოებრივი უნიჭობით, რამოდენიმე თვეში დავკარგეთ აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი, მტკიცე მეგობრობა და გულში მტრობა ჩავუნერგეთ. ჩვენი სახელმწიფოებრივი [illegible] და პოლიტიკური სიბეცის ბრალია, რომ ადგილობრივი რუსობა და სომხობა ცეცხლზე ნავთს ასხამს, სახელს გვიტეხს, რომ აფხაზების წინაშე აფხაზეთის მტრებად გამოვყევართ და ჩვენ მათ წინააღმდეგ არავითარ ზომებს რომ არ ვიღებთ.

დიახ! ყოველივე ამის მიზეზი ჩვენა ვართ.

ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის მხარე დღეს ხელში უჭირავს ერთ წილად უნიჭო და ერთ წილად მოღალატე პირებს. უნიჭოა და გამოუსადეგარი ბ-ნი ის. რამიშვილი თავის თანამდებობაზე. მოღალატეა ბ-ნი ტუმარკინი, რომელსაც პარტიული ნათესაობით, ენდვენ და მთელი სოხუმის ოლქი ხელში ჩაუგდეს ჩვენი ქვეყნის მეთაურებმა. ტუმარკინი, „აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრია.“ ის არის ნამდვილი გამგე ამ ქვეყნის ბედისა; ჭკვიანი და საქმიანი, ის დენიკინის საქმეს აკეთებს და მის მიზანს ემსახურება. ვინც ახლო იცნობს ამ ვაჟბატონის მოქმედებას, ყველა ამაში დარწმუნებულია. ქართული საზოგადოებრივი აზრი მას სრულის უნდობლობით ეკიდება, მაგრამ ბ-ნი ტუმარკინი მაინც არხეინად ზის თავის სამინისტრო სავარძელში და განაგრძობს თვის ბნელ საქმეებს. აფხაზეთის მთელი ადმინისტრატიული აპარატი ამ ადამიანის ხელშია!

ამ გვარად, ამ განაპირა მხარეში უკმაყოფილოა თვით აფხაზობა, ხოლო მთელი მხარე და მისი ადმინისტრატიული აპარატი ნაწილად უნიჭო და ნაწილად მოღალატე ადმინისტრატორთა ხელშია. ჩრდილოეთით დენიკინი სალაშქროდ განმზადებული დგას, სამხრეთით კოცონი იგზნება. ერთი ნაპერწკალი—და სოხუმი და სხვა განაპირა ადგილები, ვინ იცის რა საშინელების ასპარეზად არ გადაიქცევიან... მთავრობა ხედავს და გრძნობს ამ შესაძლოებას. მან იცის სოხუმის ამბები და მაინც არავითარ ზომებს არ იღებს აფხაზეთის გასაწმენდათ ქართველ-აფხაზთა იმ აშკარა მტრებისაგან, რომელნიც აშლილად ჩვენ შორის შურს და მტრობას თესვენ და ამავე დროს უკმაყოფილო ელემენტებს საქართველოს წინააღმდეგ რაზმავენ აქტიურ მოქმედებისათვის, როდესაც ამის დრო დადგება.

მთავრობამ იცის ყოველივე ეს და არავითარ ზომებს არ იღებს, რომ ნაცვლად რამიშვილისა მის ადგილზე უფრო ენერგიული და მეტი სახელმწიფოებრივი ნიჭისა და ტაქტის კაცი გაამწესოს, რათა შესაძლებელი შეიქმნეს ქართველ-აფხაზთა შორის უნდობლობის ატმოსფერის გაფანტვა და დაკარგული მეგობრობის დაბრუნება. მთავრობამ იცის ყოველივე ეს, მაგრამ ტუმარკინს, მაინც აფხაზეთის ფაქტიურ ბატონ პატრონად სტოვებს!;.

რად იგვიანებს მთავრობა სასწრაფო და მძნელ ზომების მიღებაში?

რაშია საქმე?

* * *

ახალი ხრიკი

„კავ. სლოვო“ გვატყობინებს, რომ სომხეთის მთავრობას აფხაზეთში თავისი დიპლომატიური წარმომადგენელი დაუნიშნავს.

ეს ამბავი სხვა გაზეთებში არც კი დაიბეჭდა, რაიც ამტკიცებს ჩვენი პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ალღოსი და ყურადღების დაჩლუნგებას. ჩვენ ამ მოკლე ამბავს დიდს პოლიტიკურ მნიშვნელობას ვაძლევთ, რადგან იგი ერთხელ კიდევ ამტკიცებს ძველსა და ცხადს ჭეშმარიტებას: სომხეთის მთავრობის ალვირაშვებულ კადნიერებას და დაუძინებელ მტრობას საქართველოსადმი.

ყველას მოეხსენება, რომ დიპლომატიურ წარმომადგენელს ნიშნავენ მხოლოდ დამოუკიდებელ ქვეყანაში.

სომხეთის მთავრობამაც კარგად იცის ეს საანბანო ჭეშმარიტება საერთაშორისო უფლებისა; იცის ისიც, რომ აფხაზეთი განუყოფელი ნაწილია საქართველოსი, მაგრამ იმდენად უძლეველია მისი გრძნობა პოლიტიკურ ინტრიგისა და მტრობისა საქართველოსადმი, რომ იგი საბოლოოდ იხდის დიპლომატიურ სამოსელს და აშკარად გამოდის ჩვენ სამტროდ.

მერე რა დროს და რა ხერხით!

თვით სომხეთი კატასტროფის წინ სდგას. მას ვერ მოუგერიებია აჯანყებული, გაუწვრთნელი ბრბოები თათრებისა, რომელნიც მის სატახტო ქალაქს მიადგნენ და ლამის დაიპყრონ მთელი სახელმწიფო; ხიფათშია არსებობა მთელი ერისა, რომელსაც მოელის შარშანდელი ამბები „აწიოკება-განადგურებისა“; სომხეთის მთავრობა კონფერენციაზე მოდის თბილისში ხიფათისაგან თავის დასახსნელად, და ამავე დროს ჩვენ ისევ გვესმის პარიზიდან მისი დაბეზღების სისინი, ვგრძნობთ მის შხამიან კბილს აფხაზეთში და ვხედავთ მის შავს გულს „აშხატავორის“ ფურცლებზე, საიდანაც ყოველ დღე ერთ კოკა შხამს, და ჭუჭყს ასხამენ თავზე საქართველოს და მის მთავრობას. და ამავე დროს თითქო მეგობრის ხელს გვაწვდიან და იმედს გამოსთქვამენ, რომ საქართველო არ ისარგებლებს სომხეთის გაჭირვებით.

სომხეთის მთავრობა თავის პოლიტიკას აშენებს ძველს საძირკველზე: ქართველთა გულუბრყვილობაზე, გადაჭარბებულ სულგრძელობაზე და ერთი წრის პოლიტიკურ ბეცობაზე. მაგრამ საქართველო კარგად ხედავს სომხეთის იდლიის ქვეშ მოგროვილ ლოდებს და მათი დამალვა არ შეიძლება თეთრი კბილით და ორგული ღიმილით.

სოხუმში ამოსული შხამიანი კბილი —სომხეთის „დიპლომატიური წარმომადგენელი“ დაუყოვნებლივ უნდა ამოიძროს, საქართველოს მთავრობამ და დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს შესაფერი ზომები ამ მიმართულებით. თორემ განა საქართველოს მთავრობას არ შეუძლიან გაგზავნოს თავისი დიპლომატიური წარმომადგენელი ნახიჩევანს და გასწიოს იქ ისეთივე მუშაობა, როგორსაც ეწევა და გასწევს სომხეთი საქართველოში საერთოდ, და აფხაზეთში კერძოდ?

* * *

პრესსა.

ქუთათური გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ ქალაქის უზომო დაბეგვრის შესახებ სწერს:

„ქალაქ თბილისისათვის 60 მილიონი მანეთი სასანიტარო გადასახადი შეუწერიათ და უკვე გადახდევინებასაც შესდგომიან და იმისდა მიუხედავად, რომ ეს გადასახადი ჯერ დაკანონებული არ არის.

რამდენი იქნება კიდევ სხვა გადასახადი!

ქალაქ ქუთაისის ვაჭრებს სავაჭრო ოპერაციებისათვის უზომო გადასახადი შეაწერეს: ოცი ათასიდან ასი-ათას მანეთამდის თვითოს!

ეს—ნამდვილი კონტრიბუცია არის.

რა მოჰყვება ამას შედეგად? ვაჭრები ჩვენი დიდა-ქალაქებიდან სადმე სხვაგან გადიხვეწებიან.

ქუთაისის შეძლებულ ვაჭრებს ბათომში გადააქვთ საქმეები.

თბილისიც თანდათან იცლება. და ბოლოს ალბად საქართველოს კაპიტალი სულ ერთიანად გადიხიზნება უცხოეთში, ე. ი. ბაქო-ერევან-ბათომში.

მართლა, ბათომი ბოლოს და ბოლოს საქართველოს საზღვრებში შევა, მაგრამ, ვიდრე ეს მოხდებოდეს, დღეს ჩვენთვის უცხოა.

აი რას არ უწევენ ანგარიშს ჩვენი სოციალისტები!

და, ვაი, თუ მთელი ჩვენი ცოცხალი ეკონომიური, ინტელექტუალური და სამხედრო ძალა მეორე უფრო ძლიერმა მოცილემ—აზერბაიჯანმა—მიიზიდოს!

დიახ! ჩვენს სოციალისტებს დაავიწყდათ ადამ სმიტის მიერ თქმული გაფრთხილება: ვაჭარს იქ გადააქვს კაპიტალი, სადაც მეტ მოგებას ნახულობს და ინტელიგენტს თავისი შრომა იქ, სადაც მისი შრომა უკეთ ფასობს.

კონტრიბუციით ვაჭრებს სამართლიანი სასჯელი მიესჯებათო, გვეუბნებიან სოციალისტები.

შემცდარი აზრია: ვაჭარი ზედმეტ კონტრიბუციას მოერიდება, ე. ი. სავაჭრო კაპიტალს სხვაგან გადიტანს.

დარჩებიან მარტო წვრილფეხანი რომელთა შორის ზოგი გაკოტრდება და ზოგი, უფრო მარჯვე, საქონელს ერთი ათად გააძვირებს.

მაშ რა შედეგი მოჰყვება ვაჭართა ზედმეტად გაბეგვრას?—როგორც მანუფაქტურა, აგრეთვე სასოფლო პირნახული ერთიანად გაძვირდება და მისთვის, ვინც ქირით ცხოვრობს, მისთვის ცხოვრება აუტანელი შეიქმნება!

ყოველგვარ ამშენებლობას ხომ ბოლო მოეღება!

საქართველოს ტერიტორიაზე, რომ ქარხნები დაკეტილია და ახალი სახლები აღარ შენდება,—ხომ ვიცით.

მაგრამ ერთად ერთი საერთაშორისო მნიშვნელოვანების წარმოებაც—შავი ქვის—შეჩერებულია: მუშებმა იმდენი მოითხოვეს, რომ მწარმოებლება საქმეს ხელს ვერ ჰკიდებენ.

ასეთია კაპიტალის ბუნება: მისი დაბეგვრა ყველა ქვეყანაში თანასწორად უნდა წარმოებდეს, იგი მაშასადამე მოყიალეა, კოსმოპოლიტურია, იმ ქვეყნიდან, სადაც მეტი დაბრკოლება ელობება წინ, გადადის მეორე ქვეყანაში, სადაც ნაკლებად უშლიან ხელს.

დასასრულ მოვიყვან ინგლისის მომარაგების მთავარი კონტროლიორის —რობერტსის აზრს: „სანოვაგე არ გაიაფდება, ყველა ვაჭარსაც რომ თავი მოვკვეთოთ, ვიდრე წარმოება არ გაიზრდებაო“.

აი სიაფის ერთად-ერთი წამალი!

საქართველოში მოქმედი შრომის პირობა და წესი კი ისეთია, რომ წარმოებაზე ლაპარაკი მეტია.

მაშ სიძვირის მიზეზი—აწინდელი აწინდელი ეკონომიური პოლიტიკაა.

და ვიდრე ეს პოლიტიკა არ შეიცვლება, სიძვირე თანდათან მოიმატებს.

ამგვარი ეკონომიურ ფინანსიური პოლიტიკის წინაშე ვდგევართ.

* * *

სომხური პრესა.

„აშხატ ვორი“ და ამიერ-კავკასიის კონფერენცია.

უკანასკნელ ნომერში „ნორ-აშხატავორი“ კიდევ ეხება ამიერ-კავკასიის საკითხს და სხვათა შორის, სწერს:

„უკვე მოხდარა შეთანხმება, რომ მოწვეულ იქნეს ამიერ-კავკასიის კონფერენცია სადავო საკითხების გადასაჭრელად. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ქართველ თავადებს და აზერბაიჯანის ბეგებს არ შეუძლიანთ გადასჭრან ამიერ-კავკასიის პრობლემები, სოლიდარობა და შეთანხმება ჩამოაგდონ ხალხთა შორის, რადგან კლასიური ინტერესები მოითხოვენ აგრესიულ და ეროვნულ-შოვინისტურ შეურიგებელი პოლიტიკა აწარმოონ. ჩვენ მუდამ იმ აზრს ვიცავდით, რომ ნამდვილი სოლიდარობა და შეთანხმება შეუძლიანთ ჩამოაგდონ მხოლოდ მშრომელ მასსას რომლის ინტერესები და მიზანი ერთია. სხვა მხრივ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი გაზეთი ყოველთვის მოწადინებული იყო, რომ შეთანხმება ჩამოგდებულიყო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში... უკანასკნელმა მოვლენებმა შექმნეს მძიმე მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში და ბოლოს აიძულებენ ამიერ რესპუბლიკების გამორკვეულ დათმობის გზას დაადგნენ. იმედი გვაქვს, რომ კონფერენციას შეუძლიან გამონახოს ის შუა ხაზი, რომელსაც დაეყრდნობიან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები და მთელი რიგი სადავო საკითხებისა ბოლოს ეღირსება გადაჭრას“.

ვინც ბეჯითად თვალყურს ადევნებდა სომხების წყალობით დაშლილ კონფერენციების მუშაობას, იმისთვის აშკარაა, თუ ვინ აფერხებდა „ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სოლიდარობას“ და თავგამოდებით იცავდა გათიშვას და იზოლიაციის პოლიტიკას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

საზავო კონფერენცია, როგორც ჰფიქრობენ, მუშაობის შეწყვეტას სექტემბრამდე ვერ შესძლებს.

ჰუნგრეთის ახალი მთავრობის რეგენტმა ერც ჰერცოგმა იოსებმა თხოვნით მიჰმართა კლემანსოს აღიაროს მისი მთავრობა და ნება მისცეს წარმომადგენლები გაჰგზავნოს პარიზში.

კანადაში უწესოებაა.

გერმანიაში გაფიცვები გრძელდება.

საფრანგეთის სოციალისტები მუშებს გაფიცვებისკენ მოუწოდებენ, თუ ინგლისი რუსეთიდან ჯარს არ გამოიყვანს.

ავღანელებმა ინგლისელების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება დაიწყეს.

თეთრი ჯარი მოსკოვს 600 ვერსით დაუახლოვდა. ბოლშევიკები სცდილობენ მინსკი უკანვე დაიბრუნონ.

პოლონეთის კაბინეთი სრული შემადგენლობით გადადგა.

„აშხატავორი“ უმანკოების სამოსელში ეხვევა და საქართველო-აზერბაიჯანი გამოჰყავს „თავადებისა და ბეგების“ ინტერესების მოსარჩლედ. მაგრამ ვინ დაუჯერებს დაშნაკელების „მკვეხარა ქოთანს“? რამდენიც უნდა იმართლოს თავი დაშნაკცუთუნმა, გათიშვის პოლიტიკის პრიორიტეტს სხვას ვერ გათიშვას. ბევრი ლოდინიც არ დაგვჭირდება და „განახლებული“ კონფერენცია მალე ცხადჰყოფს, თუ ვინ არის მართლაც გულწრფელი დამცველი ახალ სახელმწიფოთა სოლიდარობისა და მათი მყუდრო ცხოვრებისა!.

მთავრობის წრეებში

დახმარება სატეხნიკო საზ-ბას

საქართველოს სატეხნიკო საზოგადოებას აღმოუჩინოს დახმარება 50000 მან. რაოდენობით ეს თანხა გადაიდოს 10 მილ. ფონდიდან.

სომხეთის საკონსულო.

ეცნობოს სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს, რომ მთავრობას არაფერი საწინააღმდეგო არ აქვს სოხუმში სომხეთის საკონსულოს დაარსებისა.

საპროტეზო სახელოსნოს შესანახად.

გადაიდოს სამხედრო ფონდიდან 246000 მან. შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში საპროტეზო სახელოსნოს შესანახად.

სესხი სახელმწ. კონტროლს.

მიეცეს სახელმწიფო კონტროლიორს სესხის სახით 80000 მ. 10 მილ. ფონდიდან კონტროლიორის მოხელეთათვის სამგზავრო ხარჯების დასაფარავად. ეს თანხა კონტროლიორმა უნდა დაუბრუნოს აღნიშნულ ფონდს როგორც კი სათანადო დამატებითი კრედიტები გაიხსნება კონტროლს დამფუძნებელი კრების მიერ.

ლენცოფას ფოთლების მოსაკრეფად.

გადაიდოს მიწად-მოქმედების სამინისტროს განკარგულებაში 50000 მან. 10 მილიონიან ფონდიდან მოხსენებაში აღნიშნულ საჭიროებისათვის. ამ საქმისთვის 1918 წელს. გახსნილი კრედიტი დაიხუროს.

სესხის მიცემა ი. კაკაბაძეს.

მიეცეს იოსებ კაკაბაძეს სესხად 100000 მან. სამი წლის ვადით 5 პროც. სარგებლით. ფულის გაცემა მოხდეს ნაწილ-ნაწილად 2 თვის განმავლობაში. აღნიშნულ თანხის კრედიტი გაეხსნას მიწად-მოქმედების სამინისტროს, რომელსაც დაევალოს მიცემულ სესხის გარანტიათ დაიგირაოს ი. კაკაბაძისაგან მანქანები.

სახურსათო დახმარება.

დაევალოს მომარაგების მთავარ სამმართველოს რათა კახეთის რკინის გზის მუშა მოსამსახურეებს ეძლეოდეთ ყოველ თვიურათ არა ნაკლებ 1500 ფ. ფქვილისა.

ჯარში კულტ.-განმ. საქმის მოსაწყობად.

გადაიდოს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 157000 მანეთი სამხედრო ფონდიდან მოხსენებაში აღნიშნულ საჭიროებისათვის.

ქრონიკა

ფოსტა-ტელეგრაფი

◆ საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველო ამით აცხადებს მოიჯარადრეთა საყურადღებოთ, რომ 8 აგვისტოს დილის 10 საათზე სამმართველოს შენობაში (რუსთაველის პრ. № 43) დანიშნულია შეჯიბრება მსურველთა შორის რომელთაც კი შეუძლიათ დაამზადონ თბილისის დაწესებულებებისთვის ზამთარში საჭირო საწვავი მასალა—147 ნახ. კუბ. საჟ. შეშა და 3000 ფუთი ქვანახშირი.) სამმართველო დანიშნულ დღისთვის იწვევს ამ საქმის ალღის მსურველებს.

◆ ვინაიდან დიდუბის, რკინის გზის სადგურის რაიონში და ვაგზლის ქუჩაზე სწარმოებს თბილისის ტელეფონის ქსელის ხაზების შეკეთება, ტელეფონების მოქმედება აღნიშნული მიდამოებში 12-დან 14 მარიამობისთვემდე შეწყვეტილი იქნება.

◆ **თბილისის სამიწისმზომლო სასწავლებელში.** მისაღები გამოცდები დაიწყება პირველ ენკენისთვეს ხოლო განმეორებითი (მოწაფეთათვის) რვა ენკენისთვეს მიმდინარე წელს გაფართოებულია პირველი და მეორე კლასი. სწავლა 15 ენკენისთვეს დაიწყება. მიწის მზომელებისა და ტაქსატორების მოთხოვნა დიდია—შარშან კურს დამთავრებულნი—23 მიწის მზომელი—ყველანი უკვე სამსახურში არიან. მიწის მზომელთა სასწავლებელი აძლევს აგრეთვე უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლებას.

ვაჭარ.-მრეწვ. სამინისტროში.

◆ **სატეხნიკო კომიტეტში.** ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან დაარსებულია ტეხნიკური კომიტეტი უპირატესობის განსახილველად კომიტეტი სამ სექციად არის დაყოფილი მექანიკურ სამთო ქიმიური და სადმინისტრაციო სამოსამართლოდ. პირველ სექციის თავმჯდომარეთ დანიშნულია გ. ჟიდევანიშვილი, მეორისა სამთო-სამართველოს უფროსი ი. ყიფშიძე და მესამე სექციისა სამოსამართლო პალატის წევრი ბ-ნი მიქელაძე.

◆ **ქვა-ნახშირის ხაქის გამოცდა.** საქართველოს რესპუბლიკის მთავარ სახელოსნოებში ამ ჟამად სწარმოებს გამოცდა ქვა ნახშირის ხაქისა სპეციალ ფორსუნკებში, ვინაიდან განზრახულია ორთქლმავლების ამ ხაქით გახურება მაზუთის ნაცვლად.

◆ **ამერიკელთა მისიის თხოვნა.** ამერიკის მისიამ სთხოვა სამთო-სამართველოს გაუგზავნოს მეცნიერული ნამუშევარი კონიუშევსკისა „სასარგებლო ამონათხარი ამიერ-კავკასიისა“ და სამთო-სამართველოს უფროსის ინჟ. ი. ყიფშიძის ნაშრომი „მოკლე ცნობები საქართველოს რესპუბლიკის სიმდიდრეთა შესახებ“.

სამხატვრო ქრონიკა

◆ **ლეონკოვალლო.** გარდაიცვალა ცნობილი იტალიელი კომპოზიტორი რუჯიერო ლეონკოვალლო, რომელსაც ეკუთვნიან ოპერები: „ზაზა“, „ჯამბაზები“ და სხ.

◆ **სახელოსნო კლუბი.** დღეს როდესაც დრამის და კომედიის გახსნა იდგმება „დასჯა“. მონაწილეობენ: ნეგინისა, ვიშნევსკაია, ნოვიცკი, სიხირცევი, კარენი და სხ.

აზერბაიჯანი

აბდულაევის გადასახლება.

თანახმად ბაქოს „გრადონაჩალნიკის“ ბრძანებისა სულეიმან აბდულაევი გადაასახლეს ბაქოს გუბერნიიდან.

ინგლისელთა სასაფლაო.

ბაქოს ქალაქის თვით მართველობას ცნობა მოუვიდა, რომ ახალ სასაფლაოზე სასაფლაოს ნაწილი შემოფარგლეს გარდაცვალებულ ინგლისელ ჯარის-კაცთა დასასაფლავებლად. ამის გამო ქალაქის თავმა ბრიტანეთის შტაბს მიმართა და სთხოვა შეატყობინოს, თუ ვისი განკარგულებით დაიჭირეს ეს ადგილი.

10 0 ფუთი ფქვილის დაკარგვა.

საინტენდანტოს სამმართველომ ბაქოს გუბერნატორს შეატყობინა, რომ სად. ხაჩმაზში 1000 ფუთი პური, რომლისათვისაც ყური უნდა ეგდო მუშკურის ბოქაულს, დაიკარგა, არ იციან თუ ვინ გაზიდა ამოდენა პური.

ყალბ ფულის მჭრელთა აღმოჩენა.

ამ ორი კვირის წინად აზერბაიჯანის რკინისგზათა დამცველ რაზმის უფროსის თანაშემწემ მიიღო ცნობა, რომ ერთ-ერთი მოსამსახურე ყალბ ფულის მჭრელთა ორგანიზაციის წევრია. ამ ცნობების მიღებისთანავე დარაჯთა რაზმის უფროსმა დაავალა ერთ-ერთ აგენტს ამ საქმის გამოძიება აგენტმა ერთი ფულის მჭრელთაგანი დააპატიმრა და მაძებარ პოლიციაში გაჰგზავნა. დაპატიმრებული, დანიელ სუმკოვი, მართლაც აღმოჩნდა ფულის მჭრელი, რომელთა „ლაბორატორია“ აგარაკ სუმგაითთან იმყოფებოდა. მკათათვის 29-ს სად. სუმგაიტზე, გაემგზავრნენ ორთქლმავლით მაძებარ პოლიციის, კონტრ მზვერავთა და რკინისგზის აგენტები და ალყა შემორტყმით ყველა ყალბ ფულის მჭრელნი დააპატიმრეს. იპოვნეს მთელი დაზგა, 6 ლიტოგრაფიული ქვა და 20 ათასი მანეთის 25 მანეთიანები.

გრ. ვეშაპელის მოციქულებს

ეროვნულ პარტიის ახალციხურ გაზეთ „მესხეთ-ჯავახეთში“ ამ პარტიის ერთი ჯგუფი გვაძლევს პასუხს იმ წერილებზე, რომელიც ჩვენ მესხეთ-ჯავახეთის ვითარებისა და გრ. ვეშაპელის პარტიის მოქმედების შესახებ გაზეთ „საქართველოს“ 160 №-ში მოვათავსეთ. ჩვენ სრულიადაც არ გვინდოდა შეუფერებელი წერილისათვის გვეპასუხნა, მაგრამ რაკი დამწერნი თავის თავს, „ახალციხის მკვიდრს“ უწოდებენ, და ასეთებს კი ხალხში მიუღებელი აზრების გავრცელება შეუძლიანთ, საჭიროდ მივაჩნია ამტყუანს მტყუანის კარებამდე მივყვეთ“...

ჩვენს წერილებში საზოგადოებას ვაჩვენებდით ეროვნული პარტიის მოღვაწეობას და მის საქციელს როგორც პარტიულს, ისე ეროვნულ-საზოგადოებრივ საქმეთა უსწოროდ მოწყობაში. ჩვენი დებულებანი ამ „პარტიის“ ერთ ჯგუფს „ლანძღვა-გინებათ, ცილის წამებათ, ცრუ და სამარცხვინო საქმედ“ მიუჩნევია, მაგრამ აქვე დაინახავთ მათი საქმის ცოდნასა და ლოღიკის სიმდიდრეს...

1. არ არისო მართალი, — ამბობს ჯგუფი, — ვითომც, გრ. ვეშაპელის ჯგუფი მესხეთ-ჯავახეთში მოქმედებდეს საქველმოქმედო საზოგადოების სახელით... ვითომ ეს საზოგადოება სურსათ-სანოვაგეს მგზავნიდეს ახალციხეში და მას ეროვნული პარტია თავის წყალობად ნათვლიდეს... ამის შესახებ ეროვნული პარტია ვერც იტყოდა და არც ხმა ამოუღია, რომ თავის წყალობად გამოეცხადებინა რამეო“...

აღნიშნული ჯგუფის მიერ ასეთი სტრიქონების მოთავსება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ ჯგუფს არც თავისი პარტიის პროკლამაცია წაუკითხავს, არც თავის პროპაგანდისტებისათვის დაუგდიათ ყური და არც ის იციან, თუ მათი წინამძღოლნი რას აკეთებენ, — და ეს რომ ასე არ იყვეს, თათრულ ენაზე გამოცემულ პროკლამაციაში წაიკითხავდნენ: „ჩვენი პარტია ნაშგლებსა და სხვა სურსათ სანოვაგეს გირიგებდეთ“. სოფ. უდეში გამოსულ მათ პროპაგანდისტებისაგან გაიგებდნენ, რომ გლეხებს ეუბნებოდნენ: ჩვენ ყველაფრით დახმარებას გიწევდითო; აგრეთვე სოფელში დაინახავდნენ, რომ ეროვნულ პარტიის წარმომადგენელი გლეხებს ერთ მეოთხედ გირვანქა საპონს ურიგებდნენ; და თუ ეს არ გჯერათ, ჰკითხეთ თვით გლეხებს. რომელთაც კვირის მიტინგიდან თქვენი გაზეთის „რედაქტორი“ ლ. მაჭავარიანი და ექიმი მ. იმხნელი გაშვებული გამოისტუმრეს.

2. „მტკნარი სიცრუეო, რომ საარ ჩვენი ხარჯები ვითომ ქართ. საქველ. მოქ. საზოგად. თანხიდან იფარებოდესო“... ჩვენ განმეორებით გადაჭრით ვაცხადებთ, რომ სწორედ ამის უარყოფაა სიცრუე. ბ-ნი ვეშაპელი საქველ. საზ. რწმუნებულია (ამას თქვენვე სწერთ), ლადო მაჭავარიანი და ივ. ცხადაძე საქველმოქმედო საზოგ. მოსამსახურენი არიან; სამივენი ამ საზოგადოებისაგან იღებენ ჯამაგირს და გზის ხარჯებს, ამათთან ერთად სხვებიც ამ საზოგადოების თანხით იკვებებიან და ყველანი ერთად კი ეროვნული პარტიისათვის მუშაობენ, ყველგან მისი სახელით გამოდიან... მაშ რასა ნიშნავს ეს, თუ არ საქველმოქ. საზოგ. ხარჯით პარტიული საქმეების გაკეთებას!..

3. ეროვნული პარტიის წარმომადგენელნი თვითონვე გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენ ეროვნულ-დემოკრატებისაგან გამოყოფილნი ვართო... ჩვენთვის ნათელი იყო, რომ ეროვნული პარტიის მოძღვრების ქვეშ ვიმყოფებოდით და არა ეროვნულ-დემოკრატებისა...

აქაც დაფარვაა სიმართლისა. თვით თქვენი ჯგუფის „ლიდერი“ კ. გვარამაძე ერთ ერთ კრებაზე, რომელსაც ჩვენც დავესწარით და თქვენი წერილის ხელისმომწერნიც, ამტკიცებდნენ, რომ ჩვენში არავითარი განსხვავება არ არის და ჩვენ ერთი იდეით ვართ გამსჭვალულნი, სჯობია ერთმანეთს ხელი არ შეუშალოთო... ესეც რომ არ იყვეს, რატომ არ უსმენდით თქვენ „სტუდენტ“ ლადო მაჭავარიანს, (რომელსაც მიტინგზე დავესწარით), რომ გლეხებს ეუბნებოდა: „თქვენ კარგად იცნობთ ეროვნულ პარტიას და მის ნომერს; რუსეთის დამფუძნებელ კრებაშიც ჩვენ მერვე ნომრით გამოვდიოდითო“... რა არის ეს, თუ არა სიცრუე და თვალის ახვევა, რადგანაც რუსეთის დამფუძნებელი კრების დროს ეროვნული პარტიის ხსენებაც არ იყო!..

4. თქვენ „მტკნარ სიცრუეთ“ მიგაჩნიათ, მაგრამ ჩვენ დღესაც გადაჭრით ვამბობთ, რომ თქვენ მიერ უსწორმასწოროთ, მოტყუებით და სრულიად შეუფერებელ პირთაგან შედგენილი სიით თქვენივე პარტიისა და საარჩევნო სიის წევრნი მეტად აღშფოთებულნი არიან-მეთქი... და იგინი აღშფოთდებიან უფრო თქვენი წერილის შემდეგ, სადაც თქვენ ამბობთ: ვისი ბრალია, რომ მოსტყუვდნენ, „ლობიოს ხომ არა სჭამდნენო“...

ასეთი გამოთქმა და საბუთი თქვენივე თავის შეურაცხყოფად მიგვაჩნია, ეს მათ ცუდად ოდნავადაც არ ახასიათებს, მაგრამ საკვირველია, მაგ საპასუხო წერილს თქვენი სიის გონებითა და რიცხვით თვალსაჩინო წევრნი რატომ არ აწერენ ხელსა; მანდ ხელის მომწერნი დანარჩენებთან შედარებით ხომ სრულიად უმნიშვნელონი არიან (სიაში 36 კაცი გყავთ, და ამ სიიდან მხოლოდ 12 აწერს ხელსა), მაგ წერილის 8 ხელის-მომწერი ხომ სიაში არც კი გყავთ მოთავსებული; ერთს მათგანს ხომ თვით მაგ წერილზედაც ხელი ცხვირებით მოაწერინეთ... და ასეთი საბუთების უცოდინრად თქვენ განა უნდა გეკისრათ ამ წერილზე ცალ-ცალკე ხელის-მოწერა და კოლექტიური პასუხის დაბეჭდვა?!

მაგრამ რაღა გავაგრძელოთ!.. როგორც თქვენ „მოგყიდეს, ისე გინდოდათ გაგეყიდნათ“, მაგრამ თუ მყიდველი გულუბრყვილო არ აღმოგაჩნდათ, ეგ იმისათვის, რომ ეროვნული „პარტიის“ „ლიდერებს“ თქვენ ეხლა ეცნობით, ჩვენ კი ისინი „ცხრაჯერ გაგვიზომია და ცხრაჯერ გადაგვიჭრია“...

ასეთი ვითარების შემდეგ კი ჩვენთვის უფრო აშკარა ხდება, თუ ეროვნულებს თქვენ როგორი მიმდევრები მყავხართ და რა ბრჭყალებში ჰყავხართ.

მიხ. ხერხეულიძე.

გურიის ბოლშევიზმი

(წერ. ოზურგეთიდან)

გურიის სოფლებში გურული „კომუნისტები“ დემონსტრაციებს აწყობენ. სოფ. ზემო ხეთი-ხიდისთავი, ნაგომარი, აკეთი და ჩოხატაურის ნაწილი ბოლშევიკებმა საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადეს. ხიდისთავში ცისმარე დღეს გამოდიან უცოდინარე ყმაწვილები და ხალხს ეუბნებიან: „დღეპებით ბურჟუაზიის მთავრობა მუხრუჭებს გვიჭერს, დენიკინს ემეგობრება და რუსის გლეხობას ომს უცხადებსო! გურიის მკვიდრი ხალხი უკვე აღიძრა „ნამდვილი სოციალისტური სახალხო მთავრობა საბჭოებია, წითელმა პროლეტარიატმა შიგნით უნდა გასწყვიტოს მტრები“... უქადაგებენ მიწის მუშებს. ამ საერთო უბედურების დასაპირდაპირებლად „სახელმწიფოებრივი“ პარტია მენშევიკობა ჩოხატაურში მიტინგს მართავს და ეს მიტინგი ცხინვალში ირაკლი წერეთლის მარცხს გვაგონებს... ოზურგეთში ამბობენ გურიაში გარეშე მტრის აგენტურა მოქმედებს. დენიკინის და სომხების მილიონები იხარჯებაო. გურიაში კვლავ მიტინგობიან საბჭოთა მთავრობას გაუმარჯოს, შინაურ სამოქალაქო ომი დავიწყოთ და, მოღალატე მთავრობა ჩამოვაგდოთ, ძახილის ხანა დადგა... აღსანიშნავია ის განსაკუთრებული თავისებურება გურულებისა, რომ პროვოკაციას ისინი ბეჭითად ითვისებენ და მიჰყვებიან!..

საბედისწერო იყო გურულ კომუნისტების მუშაობა ოზურგეთში.

ოზურგეთში მდგომ ჯარის ნაწილებთან პროვოკატორები მშიერ მგლებივით მიიჭრენ და იწყეს ჯარის გახრწნა. „ჯარო რას დგახარ, იარაღი ხელში ჩაიგდე, ის კონტრ რევოლუციონერი ოფიცრები, რომელთაც პოგონები დაიკერეს და თქვენც დაგაკერეს ამოჟლიტეთ და წამოდით. სადაცაა გათენდება, რომ სეითიდან მოდიან ჩვენი ძმები, მაშინ თქვენ წითელი არმია იქნებით გექნებათ დიდი ჯამაგირები, ბურჟუების გაჩხრეკის უფლება და არ გეყოლებათ სისხლის მსმელი ოფიცრები.

დასავლეთ საქართველოს ჯარისკაცებზე იმდენად არ გასჭრა პროვოკაციამ, რადგან ეს უკანასკნელნი შეგნებულნი აღმოჩნდნენ, ხოლო ქართლელი სალდათები მოატყუილეს და რამდენიმე ნაწილიდან გააქციეს.

ახლა შეპყრობილმა ჯარისკაცებმა გვიამბეს, რომ მათ სთხოვეს ვიღაც „კომუნისტებმა“ წასულიყვნენ სახლში, ემუშავნათ, იქ მათ ხელს არ ახლებდა არც ერობა და არც კომისრობა. გარდა ამისა უწყალოდ არ ჩაიარა ძმ. ართმელაძეების მუშაობამ, მათ შესძლეს და ჯარი დაარწმუნეს თუ რა სწადიათ დენიკინის მოციქულებს და სომხის მოსყიდულებს, მთელმა ჯარმა იგრიალა და ზემო დასახელებულ პირებს ყოველთვის სასაცილოდ ავიგდებთ, ხოლო თუ ახლო ვნახეთ შევიპყრობთო განაცხადეს.

ამის შემდეგ თვით მცხოვრებნი ეკითხებიან ჯარის კაცებს ხართ თუ არა ზედის კმაყოფილნი, როგორ გეპყრობიან ოფიცრები, თუ ცუდათ მოგექცენ მოდით ერობაში იჩივლეთო!..

მიუხედავად ყველა ამისა ოზურგეთის ჯარის ნაწილები მაინც სახელოვნად ასრულებენ სამსახურს და მათი გავლა გამოვლა უკვე თვალწინ გვიყენებთ ნამდვილ რეგულიარულ ჯარს, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ხალხი რკინა არ არის და ის ჯარის კაცი, რომელიც სიცხე პაპანაქებაში დღეში 10 საათს მწკრივში სწავლობს ხვალ იმ შავბნელ პირების ანკესზე არ წამოეგება, რომელნიც მას სამოთხეში შეყვანას და გაბედნიერებას ჰპირდებიან. ოზურგეთის ადმინისტრაციას უკვე ჰყავს, რამდენიმე პირი დატუსაღებულია აღებულია მოქადაგე, მაგრამ რადიკალური ზომები არ არის მიღებული...

იმ დროს კი როდესაც ქართველი ბათუმისკენ იცქირება, მის ისტორიულ ქალაქში შესვლას ეპირება, ჩოხატაურის რაიონის კომუნისტობა საფრთხეს ამზადებს.

აჭარაში დენიკინი კარგა ხანია მომშხამავ კვამლსავით აბნევს პროვოკაციას, რომ გურია გაბოლშევიკდა, აჭარას თავს ესხმის და ბათუმში შესვლას აპირებს, სადაც მღვდელ-საყდრის მოწინააღმდეგე კომუნისტები მეჩეთებს დაჰკეტავენო. იყო შემთხვევა, როდესაც გურულად გამოწყობილი დენიკინის მიერ მოყიდულმა 60 რუსმა და სომეხმა აჭარლები გაძარცვეს, რაც შემდეგ დღევანდელმა ბათუმის და მისი ოლქის მთავრობამ გურულებს დააბრალა.

აჭარაში მილიონებს ხარჯავენ, რათა მოძმე ხალხი გურულებს გადაჰკიდონ და ამ დროს გურიის ბოლშევიკობა მდუღარეზე ცხელის დასხმა იქნება.

ი. დიდიძე.

პატარა ფელეტონი

სპეკულიანტის მონოლოგი

სპეკულიანტი (მშვენიერ სადილს უკან წამოწოლილი, ძვირფას სიგარასა სწევს) ი...იფ! ქეიფში აბა მე ვარ, მე და ჩემმა ღმერთმა! აღარც „პატენტი“, აღარც „პრიკაზჩიკები“, აღარც წამ და უწუმ მოთხოვნების წამოყენება, აღარც სისხლის გაფუჭება, აღარც ერთი დავი-დარაბა! ხარ შენთვის, მშვენივრად სჭამ, სვამ, კაპიკს არაფერში იხდიან აქამდინ რატომ არა ვკეტავდი იმ ოხერ დუქანსა, არ გამეგება! გიჟი ვარ, როცა ეხლა ერთი ასად მეტსა ვშოულობ და თანაც სისხლს არ ვიფუჭებ! წავიდნენ და ახლაც მომდგნენ კომისარ-მილიციონერები და ბეგარა-ბეგარაზე შემომაწერონ! თავიანთ ფეშა გაიხადეს ჩემი ჯიბე! ზოგი ახლაც მიიღონ! წავიდნენ და ითვალონ, რამდენს ვშოულობ, ან რას ვაკეთებ! ვის სამსახურის ხალხის ბრალი, თორე ჩვენ რა გვიჭირს?! თვალი მუშებს გამოძვრათ, რომ მაგ „დემოკრატობით“ თვითონვე ითხრიან ძირსა, თორე მე ჩემსას არ დავკარგავ! დღეს ერთ ხალიჩას გავყიდი „ანგლიჩანებზე“, ხვალ—საპნეულს, ზეგ—„ოპტომ“ შაქარს ვიშოვი და დღე არ გაივლის, რომ სამი და ოთხი ათასები არ ჩავიჯიბო! გავიტან თამბაქოს, გავიტან მატყლს და აბრეშუმს—(მაგისაც ვახერხებ, ნუ გეშინიათ,—„ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო“, და აქაური ჩიჩქს ბაჯაღლო ოქროზე ვახურდავებ.. მა..აშ! „ჭკუა მომი, სადაც გინდა გადამაგდეო!“ არ გინდათ წესიერი ცხოვრება, და ხერხიც ეს არის! იმდენი მდიეთ, სანამ მოგვეწყინოთ! როცა დამიჭირეთ, —დაიკვეხეთ! მე თქვენსა [illegible] როდი მიმყავს ჩემი საქმე! თითო ცხვირის დაცემინებაზე და დამთქნარებაზე, რომ ნიხრებსა და ბეგარებს აწესებთ! მაგითი გინდა ააშენოთ ქვეყანა?! მაგითი გინდათ დაიფაროს განათლება?! პაჭკუაშვილმა ფერად-ფერადები ჩაიცვას და ჭამოს, ცხრა-ცხრა ეტაჟიანი სახლები იყიდოს სხვის სახელზე და მე გზლო, ხა? ეგ არის თქვენი „დემოკრატიობა“, ეგ არი თქვენი სოციალისტობა?! მაგისთვის გადაბრუნდა ქვეყანა ყირამალაზე, მაგისთვის დაღვარეთ ამდენი სისხლი?!

„სანიტარნი სბორიო“, „ქალაქის გასასუფთავებელიო“.,. დიდი სიამოვნებით, რამდენიც გინდა გადაიხდი, ოღონდ ჯერ თქვენი თავი გამაგვებინა! სხვებს ვერაფერს უბედავენ, და მარტო ქალაქი დაბალ ღობედ მიიჩნიეს. მერე რომემდის? ყოველთვის კოკა წყალს მოიტანს?.. მაგასაც მალე შესთვლიდავე და კიდევ შეაწერთ ბეგარას, კიდევ მიიმატებთ ჯამაგირს? მერე, ვაჭრებსაც რომ პირი შეჰკრან, თქვენებრ „ზაბასტოვკა“ გამოაცხადონ და სულაც მიკეტონ დუქნები? რას უზამთ, ხარაბანებს დაუშენთ?!

ნახავთ, რასაც მოიმკით. ნახავთ თუ იმათვე ზურგი არ შეგაქციოთ, ვინც მაგ წიწილაზე შეგასკუპათ!

„რაც მოგვივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.“

ან —დონაძე.

სომხის მთავრობის განცხადება კლემანსოს დეპეშის გამო.

რადგანაც მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის კლემანსოს დეპეშას, რომელიც ეხებოდა საქართველოს მთავრობის მიერ სომხეთის სურსათის საქართველოს ტერიტორიაზე შეფერხებას ადგილობრივ პრესის ნაწილი სომხეთის მთავრობის ჩივილის ნაყოფად სთვლის, რამაც გამოიწვია რამდენიმე არა მეგობრული მოქცევა სომხეთის მთავრობისადმი,—საქართველოში მყოფ სომხეთის მთავრობის დიპლომატიურ მისიასთან არსებული საინფორმაციო ბიურო საჭიროდ სთვლის განაცხადოს, რომ არც სომხეთის მთავრობას, არც მის კერძო ორგანოებს პარიზის კონფერენციისათვის საქართველოს მთავრობის საქციელზე არავითარი საჩივარი არ გაუგზავნია.“

გენ. ბიჩის წერილი

„**Le Temps**“ იუწყება:

„დენიკინის მიერ ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკათა დაჭერა რომ გაიგო ყუბანის საპარლამენტო დელეგაციის თავმჯდომარე ბიჩმა პარიზში, სასურველად სცნო რომ ამ რესპუბლიკებთან მეგობრული განწყობილება აღედგინა და ამ მიზნით ჰაიდარ ბამათოვს, ჩრდილო-კავკასიის რესპუბლიკათა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს შემდეგი წერილი გაუგზავნა:

ებრძვის რა დაუღალავად ყველა იმას ვინც სცდილობს ყუბანის დამოუკიდებლობის გაუქმებას და ძველი სახელმწიფო მეთოდების აღდგენას ყუბანის რადა და მისი დელეგაცია მხარს ვერ დაუჭერს იმ პრინციპების შელახვის საქმეს, რომელთა განსამტკიცებლად თვით იბრძვის.

მეორეს მხრით ის მეგობრული განწყობილება, რომელიც დამყარდა ყუბანის ქალაქებსა და ყაზახებს შორის ამტკიცებს წრფელ სიმპატიას, რომლითაც ყაზახები ჩრდილო-კავკასიის ხალხებს ეპყრობიან. უბრალო გეოგრაფიული მეზობლობა, ერთმანეთის პატივისცემა, ეკონომიურ ინტერესთა ერთიანობა, ერთი ერთმანეთის დამოუკიდებლობის სრული აღიარება ჩრდილო-კავკასიაში პროგრესისა და მშვიდობიანობის სრული გარანტია არის. ყუბანის დელეგ. აცხადებს რომ ჩვენ თქვენი დამოუკიდებლობის მტრების წინააღმდეგ ჩვენც ვიბრძოლებთ.

როგორ ებრძვიან სიძვირეს იტალიაში

იტალიის სხვა და სხვა ადგილებში სიძვირის გამო ამბოხების მიზეზის მოსასპობად მთავრობამ სასწრაფოდ მიიღო შემდეგი ზომები:

1) ყველა იმ ვაჭარს, რომელიც საქონელს მეტ ფასად გაჰყიდის, თუნდაც დაუხიბრავ საქონელს, მიეცეს სასტიკ სასჯელს.

2) დარიგდეს მთელ იტალიაში საკმაოდ იაფ ფასებში გაყინული და დამარილებული ხორცი, ერბო და წვნილეული.

3) მიეცეს კოოპერატივებს ბაზრის ფასებზე ნაკლებად დაეთმოს მანუფაქტურა და ფეხსაცმელი.

4) პროვინციელ მართველობას უბრძანოს, რომ შეძლების დაგვარად ნიხრზე გაიყიდოს საქონელი და რომ მოვაჭრეებმა საქონელი არ გადამალონ.

საქონლის ფასმა ამ ზომების მიღების შემდეგ იტალიაში 30—40 პროც. დაიწია.

რუმინელები და ბოლშევიკები.

კიშინიოვიდან ფრანგულ გაზეთებს აუწყებენ, რომ რუმინეთის გენერალი რომელიც ბოლშევიკების წინააღმდეგ მომქმედ ჯარს მდ. დნესტრის ფრონტზე სარდლობდა, ინახულა ბოლშევიკთა დელეგაციამ რომელმაც ლენინის სახელით საპატიო ზავის წინადადება მისცა. ამ ზავის თანახმად რუმინეთს გადაეცემოდა მთელი ბესარაბია, ხოლო იგი ამის შემდეგ უკრაინელებს და კოლჩაკს არ უნდა დახმარებოდა.

პროფესორ კახიანის ჩამოსვლა

უკრაინიდან საქართველოში ჩამოვიდა ჩვენი თანამემამულე უკრაინის ერთ-ერთ უნივერსიტეტის პროფესორი ნიკოლოზ კახიანი.

როგორც გადმოგვცემენ, წამოსვლის წინ, პროფესორთა საბჭოს და უკრაინის მოსწავლე ახალგაზრდობას უთხოვნია მისთვის, რათა კვლავ დარჩენილიყო მათთან, პროფესორი კახიანი ნიჭიერ და დამსახურებულ პროფესორად ითვლებოდა სრულიად უკრაინაში. მას ანატომიის დარგში მრავალი მეცნიერული ნაშრომი აქვს. ამასთანავე იგი ცნობილი ქირურგია და რუსეთში, ბრძოლის ველზე მუშაობის შემდეგ დაჭრილთა დასახმარებლად ახალ-ახალი საშუალებანი გამოუგონია.

პროფესორ კახიანს გადაუწყვეტია თავის მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოიტანოს.

უკრაინელთა პროტესტი

უკრაინის ბეჭვდითი ბიურომ პარიზში ყველა გაზეთებს შემდეგი ცნობა დაუგზავნა:

უკრაინის რესპუბლიკის დელეგაციამ პროტესტი განუცხადა პარიზის საზავო კონფერენციას იმის წინააღმდეგ, რომ უკრაინელ ჯარის-კაცნი, რომელნიც ოდესღაც რუსეთის ლაშქარს ეკუთვნოდნენ და ეხლა საფრანგეთში არიან, ძალით სწერენ იმ ჯარში, რომელიც დენიკინის მისაშველებლად არის განზრახული.“

სომხეთის მთავრობის ახალი კაბინეტი

პარლამენტის მარიამობისთვის 10-ს კრებას თავმჯდომარეობდა თავმჯდომარის ამხ. არარატიანი, რომელმაც თავის თანამდებობიდან კრების გახსნის გამდგომ, უარი განაცხადა. პარლამენტმა უარი მიიღო. დროებით თავმჯდომარეობდა პარლამენტის უხუცესი წევრი არღუთინ-დოლგორუკოვი. მთავრობის თავმჯდომარე ხატისოვი ახალი მთავრობის სიას კითხულობს.

პრემიერ და საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ხატისოვი.

შინაგან საქმეთა და იუსტიციისა—აბრამ გიულხანდიანი.

სასურსათო და ფინანსთა მინისტრი—სარქის არარატიანი.

მზრუნველობისა და შრომის მინისტრი—ავეტიქ საჰაკიანი.

სახალხო განათლების მინისტრი—ნიკოლ აღბალიანი.

სამხედრო მინისტრად—გენერალ არარატოვი.

ახალ სამინისტრო პარლამენტმა დაამტკიცა 37 ხმით წინააღმდეგ 2 ხმისა.

ინგლისელთა პროტესტი საფრანგეთის მიმართ

სევასტოპოლიდან გაზ. „კრიმსკი კრაი“ აუწყებენ:

ოფიციალურ წყაროების მიხედვით ინგლისის მთავრობამ საფრანგეთის მთავრობას მოთხოვნილება წარუდგინა, რომ მან რუს ტყვეთა ოდესაში გადასხმა შეაჩეროს. ამ მოთხოვნის ერთ-ერთი მოტივად ინგლისის მთავრობა იმას ასახელებს, რომ ეს ჯარები უმთავრესად ციმბირის ყაზახთაგან შესდგება და სულ ერთია ოდესიდან ისინი სამშობლოში მაინც ვერ მოხვდებიან.

ინგლისური გაზეთი საქართველოს შესახებ

ამ დღეებში თბილისში გამოსულ ინგლისური გაზეთის „The Zeorgian Mail“-ის პირველ ნომერში მოთავსებული სარედაქციო წერილი ამბობს: „დღემდის ჩვენ ვათავსებდით „Tiflis Gasette“-ში ყოველდღიურად ცნობებს, რადგან აქამდის ვერ ხერხდებოდა ცალკე ინგლისურ ორგანოს გამოშვება, რადგან ეს არასოდეს გვიან არ არის და რაკი საქართველოს მთავრობამ თავაზიანად დაგვითმო ჩვენ ორგანოსთვის თავისი სტამბა ჩვენ საშუალება მოგვეცა ყოველ კვირაოდელი ინგლისური გაზეთის გამოცემა, რომელიც იარსებებს იმ დრომდე, სანამ ინგლისელთა ჯარები იდგება აქ საქართველოში. გაზეთის მიზანი არის საზოგადოებისათვის შემოწმებული ახალი ამბების მოწვდენა, რასაც ჩვენ ფუთუოდ შევძლებთ. ის ფაქტი, რომ ჩვენ შორის თითქმის არავინ იცის არც ქართული, არც რუსული, ბევრ გაუგებრობას იწვევს. მეორე გაუგებრობა ჩვენი ზოგიერთ ფაქტების უცოდინარობით არის გამოწვეული. ჩვენ ვიმედოვნებთ რომ ამის გამოსწორებას შევძლებთ ერთმანეთის სწორეგაცნობას რაც გამოიწვევს უფრო მეტად სიმპატიურ განწყობილებას ინგლისურ და ქართველთა შორის.

შემდეგ მოწინავე ეხება წყალსადენის და რკინის გზის საკითხს და სხვათა შორის ამბობს: „დარწმუნდა ბრიტანიის სამხედრო მისსია საქართველოს რკინის გზის ადმინისტრაციის ორგანიზაციულ ნიჭში მან გადასცა უკანასკნელს ბათუმ-ნატანების ტოტი, ბრიტანეთის რკინის გზის მისსია, გენერალ ბრაფის მეთაურობით სრულიად კმაყოფილია რომ ეხლანდელ პირობებში ქართველები ესე რიგად ექცევიან ამ საქმე.

წერილი ეხება აგრეთვე საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებს და ამბობს რომ საქართველო არა საჭიროებს მოწყალებას. და თავის ძვირფას ნაწარმოებს გასცვლის ის პურზე და სხვა მისთვის საჭირო საგნებზე.

საქართველოს მთავრობის შესახებ გაზეთი შემდეგ აზრებს გამოსთქვამს: ვინც საქართველოს წინააღმდეგ ილაშქრებს იმათთვის ჩვეულებრივი მეთოდია იმ აზრის გავრცელება ვითომ საქართველოს მთავრობის უმრავლესობა შედგებოდეს ციმბირელ „კრიმინალებისაგან“.

მართალია, რომ კაბინეტის ზოგიერთი წევრნი იმყოფებოდნენ ციხეში. მაგრამ ნება მოგვეცით მოკლეთ დავახასიათოთ ისინი.

ბ-ნი ნოე ჟორდანია, მინისტრთა თავმჯდომარე განათლება მიიღო ჟენევაში, პარიზს და ლონდონში. ბ-ნი ნოე ჟორდანია კეთილშობილი ჩამომავლობის არის. ის ცნობილია, როგორც დიდი ჟურნალისტი და, განსაკუთრებულად, ცნობილია თავის პოპულიარულ სტილით, გულწრფელ, უბრალო და იმავე დროს გონიერი აზრებით, რომელიც ყველასათვის გასაგებია. ჟორდანია იყო წევრი რუსეთის პირველ სათათბიროსი. ცარიზმის დროს ჟორდანიამ რამოდენიმე წელი დაყო ციხეში როგორც პოლიტიკურმა დამნაშავემ. ვინც იცის ძველი რუსეთის პირობები ის სასირცხოდ არ ჩაუთვლის კაცს ციხეში ყოფნას, თავის მსოფლმხედველობისთვის. პირიქით ეს დიდი სახელია რომ კაცი დაიტანჯოს, როგორც ჟორდანია, თავის რწმენისთვის და ბრძოლისათვის ძალმომრეობის და უსამართლობის წინააღმდეგ. ჟორდანიას ბევრი ტანჯვა აქვს გადატანილი ციხეში ყოფნის დროს და ის ყოველთვის არჩევდა ბრძოლას სამართლისათვის და ტანჯულ ხალხის განთავისუფლებისთვის, ვიდრე ფუფუნებაში ცხოვრებას, რომლის შეძლება მას ჰქონდა ომის დაწყებიდანვე ის იყო ცნობილი, როგორც მეთაური მოკავშირეების მომხრეებისა.

საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნ გეგეჭკორი არის კარგად ცნობილი ვექილი, რომელიც რუსეთის სათათბიროს წევრი იყო. ისიც კეთილშობილ შთამომავლობის არის.

არის შესამჩნევი ტრიბუნი და მოკავშირეთა ერთი მრჩეველთაგანი სახელმწიფო მოღვაწე. მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას საქართველოს დამოუკიდებლობა და განსაკუთრებული წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთის ჩარევას საქართველოს საქმეებში.

ნ. რამიშვილი, შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრი, არის კაცი დიდის ენერგიის და ნების ყოფისა, რომელიც იტანჯებოდა ციხეებში მრავალი წელი თავის პოლიტიკურ რწმენისათვის. ის არის ენერგიული მდევნელი ბოლშევიკებისა და სასტიკი მომსპობი ბოლშევიკურ პროპაგანდისა, რადგან მან კარგად იცის, რომ არ არსებობს არც ერთი მტერი თავის ქვეყნის დამოუკიდებლობისა, როგორც ბოლშევიკებია. რამიშვილი სამართლის მიმდევარი კაცია.

ფინანსთა და ვაჭრობის მინისტრი კ. კანდელაკი ცნობილი ეკონომისტი და კოოპერატორია. ბევრი ღვაწლი მიუძღვის ხალხში კოოპერატიულ პრინციპების გავრცელებისთვის ის დაბეჯითებით ჰქმნის ახალგაზრდა რესპუბლიკის ფინანსებს. ის არის დაუღალავი მუშაკი

ყველაზე ახალგაზრდა მინისტრი კაბინეტში არის ბ-ნი ხომერიკი—მიწადმოქმედების მინისტრი, ექსპერტი აგრარულ საკითხებისა და შემდგენელი აგრარული რეფორმისა, რომელმაც აბდიდი აურზაური გამოიწვია. ეს რეფორმა ცუდ ნიადაგზედ არის აგებული, რადგან ის გატარებული იქნა ცხოვრებაში, იმ მიზნით, რომ ბოლშევიკური მოძრაობა არ გავრცელებულიყო გლეხებში. ხომერიკმა წლები გაატარა ციმბირში პოლიტიკურ რწმენისათვის.

ინგლისელთა ცნობები ბეიუქვედის ამბებზე

აგვისტოს 12 ს ინგლისელი ოფიცერი, რომელიც ერევნიდან აგვისტოს 6 გამოვიდა გადმოგვცემს, რომ მისი წამოსვლის დღის სომხებსა და თათრების შორის ბრძოლა შეწყვეტილი იყო. აგვისტოს 4 დანიშნული თათბირი არ შესდგა, რადგან დავალუდან სომხების ნაწილ ნაწილად წამოსვლის გამო ინგლისელ გუბერნატორს არ შეეძლო შეეწყვიტნა თათართა გამაგრებულ ხაზზე გადმოსვლა.

იმედი ჰქონდათ, რომ თათბირი აგვისტოს 6 შესდგებოდა. სომხების მარცხენა ფრთა ბეიუქვედში იყო, საველე შტაბი კი ძველებურად ბაშ-ნურაშენში. როგორც ეტყობა, მართალია, რომ ჯულფის ხიდი საზღვრისაკენ სპარსეთში გადასულ სომხებს დაუზიანებიათ და ეხლა მასზე მატარებლების მოძრაობა შეუძლებელია. ამის შესახებ შეკითხვა გაეგზავნა ინგლისის კონსულს თავრიზში

დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

ინგლისურის პრესა.

რუმინელები და ჰუნგრეთი.

საზავო კონფერენცია დღის ახალ ცნობებს მოელოდა ბუდაპეშტიდან, მაგრამ ცნობები არ მოსულა, სჩანს, იქ მდგომარეობა არ შეიცვლება, ვიდრე მოკავშირეთა კომისია არ ჩავა ჰუნგრეთში და ადგილობრივ არ გაეცნობა იქ მომხდარ ამბებს. ამერიკის დელეგატებმა დღეს ის აზრი გამოსთქვეს, რომ რუმინელები დიდ შეცდომას სჩადიან მთელი ქვეყნის წინაშე

საზავო კონფერენციის მუშაობის შეწყვეტა.

ხმებია, რომ საზავო კონფერენცია საზაფხულოდ მუშაობის შეწყვეტას აპირებდა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები და ფრანგებიც ამას მხარს უჭერდნენ, მათი აზრით მუშაობის შეწყვეტა შეუძლებელია სექტემბრის დასრულებამდე, როდესაც ყველა ხელშეკრულებანი დამთავრებული იქნება და ოსმალეთის საკითხიც მანამდე გადასწყდება. ეხლა კი საზავო კონფერენციას ბევრი საჩქარო სამუშაო აქვს. ოსმალეთის ამბები დიდ შიშს იწვევს. აქ ჰფიქრობენ, რომ თუ შეერთებული შტატები მანდატს არ აიღებს ოსმალეთში დიდი უწესოება იქნება მოსალოდნელი. როგორც ჰფიქრობენ, ოსმალეთის საკითხს ძალიან გაართულებს ის გარემოება, რომ ინგლისი, საფრანგეთი და იტალია სცდილობენ ტერიტორიები მიიღონ ახლო აღმოსავლეთში.

გერმანელი ტყვეები ამერიკაში.

ამერიკის ჯარის წარმომადგენლები დღეს საზავო კონფერენციას შეეკითხნენ თუ როგორ მოექცნენ აქამდე ამერიკელების ხელში მყოფ 4,800 ტყვე გერმანელს.

კომპოზიტორ ლეონკვალოს გარდაცვალება.

ცნობა მოვიდა, რომ გარდაიცვალა ცნობილი კომპოზიტორი ლეონკვალო.

ერცჰერცოგ იოსების თხოვნა.

ლიონიდან იუწყებიან; ერცჰერცოგმა იოსებმა კლემანსოს თხოვნით მიმართა, ეღიარონ მისი მთავრობა და ნება მისცენ წარმომადგენლები გაჰგზავნოს პარიზში. ამ საკითხის განხილვას უმაღლესი საბჭო ორშაბათს შეუდგება.

ერცჰერცოგი იოსები ჰუნგრეთის ახალი მთავრობის რეგენტად აღიარეს. ის ამ თანამდებობაზე დარჩება ვიდრე საყოველთაო ხმის მიცემით, არჩეული ეროვნული ყრილობა არ შესდგება. ერცჰერცოგი ამბობს, რომ მისი ერთად ერთი სურვილი იყო, გაჭირვებულ ხანაში სახელმწიფოსთვის ეშველნა

ბოლშევიკების ცნობები უცხოეთისთვის

კანადაში

კანადაში უწესოებაა. გაფიცვები მთელ მხარეს მოედო. ბოლშევიზმი სწრაფად ვრცელდება შეერთებულ შტატებშიაც.

გერმანიაში

გერმანიაში გაფიცვები გრძელდება.

საფრანგეთში

საფრანგეთის სოციალისტები ჰკიცხავენ მთავრობის მოქმედებას ჰუნგრეთისა და რუსეთისადმი და მუშებს მოუწოდებენ, მხარი დაუჭირონ ინგლისის და იტალიის მუშებს და გაფიცვა გამოაცხადონ, თუ ინგლისის ჯარი დაუყოვნებლივ არ იქნება გამოყვანილი რუსეთიდან: „მზად ვყავით, რომ პირველ დახმარებისათანავე რუსეთის და ჰუნგრეთის რევოლიუციის დასაცავად გამოხვიდეთ. მთელი თქვენი ძალღონე რუსეთის საქმეებში ჩარევის დროს წინააღმდეგ მიმართეთ“.

ბოლშევიკები და მაჰმადიანები

რუსეთის ბოლშევიკები უთანხმდებიან აღმოსავლეთის მაჰმადიანებს, რომელნიც საბჭოთა მთავრობას თავისი დამოუკიდებლობის ერთად ერთ დამცველად სთვლიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისის იმპერიალიზმის მრავალ საუკუნოებრივ ბატონობას ბოლო ეღება.

დენიკინის სამფლობელოში

ახლად დაპყრობილ ოლქებში დენიკინი მოღალატეებს არ ინდობს. ბურჟუაზიის გარდა მცხოვრებლებს ყველას ისე ექცევიან, როგორც ტყვეებს. სწარმოებს მობილიზაცია. ყველაფერზე არაჩვეულებრივად მაღალი ფასებია.

ავღანთა მოქმედება ინგლისელების წინააღმდეგ

სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობებით ავღანელებმა მოქმედება დაიწყეს, ინგლისური გაზეთები არა მალავენ, რომ მდგომარეობა სერიოზულია და უჩივიან ცენზურას, რომელიც დაწვრილებით ცნობებს არ უშვებს. საშიშოდ მიაჩნიათ, რასაკვირველია, სარწმუნოებრივი ომი, რომელსაც მთელი სამაჰმადიანოს გაერთიანება შეუძლია, შესაძლებელია, რომ აზიის და აფრიკის მაჰმადიანები შეუერთდნენ ომარს, რომელიც ხალიფატის უფლებებს მოითხოვს. გაზეთები შიშს გამოსთქვამენ იმის გამო, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობამ ავღანის დამოუკიდებლობა სცნო. მენჯაბის მოძრაობა და ოსმალეთის და სპარსეთის აჯანყებები ბოლშევიკური ხასიათისაა.

პოლონეთში

კიევი აგვ. 10. ვილნოში პოლონელები გლეხების პურს მკიან, შემოაქვთ მოსავალი და ფულის და სურსათის კონტრიბუციას ადებენ მცხოვრებთ. სარნის საფრონტო ადგილებში მობილიზაცია გამოცხადდა. გლეხები მზად არიან დაემხრონ საბჭოთა მთავრობას.

მობილიზაციის საქმე

სამარა აგვ. 9. ასტრახანის მხრის ადგილობრივ მცხოვრებთა მობილიზაცია კარგად მიდის

წითელი ჯარისთვის

კიევი აგვ. 10. ეკატერინოსლავის გუბ. გლეხებმა წითელი ჯარისთვის 80,9000 ფუთი პური მოაგროვეს პოლშჩინაია-ვოზნესენსკ-ოდესის ხაზი სრულიად გაწმინდეს ბრბოებისაგან.

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. აგვ. 11. თეთრი ჯარიდან წითელ მოსკოვამდე 600 ვერსი დარჩა. მინსკი ისევ ჩვენი იქნება დაცვით წითელი მიწის ყოველი ნაჭერი. წითელი ჯარის სულიერი განწყობილება საუცხოოა. წითელი ჯარი წინ მიიწევს და თეთრების ბრბოებს ამარცხებს. მცხოვრებლები სიხარულით ეგებებიან წითელ ჯარს.

ორდენები „სოვდეპიაში“.

უფა. აგვ. 7. №-ის არმიის წლისთავის აღსანიშნავად სამხ. რევ. საბჭომ საპატივცემულო არმიათა რიცხვში არმიის სარდალი დასაჩუქრებულია წითელი დროშის ორდენით.

უკრაინის სამხედრო ცნობა

საარნის მიმართულებით დრო გამოშვებითი სროლაა. დუბნოს მიმართულებით სოფ. მალაია ვორობცისთან პოლკ. ვისოცკის ბრბო დავამარცხეთ და უკან დავხიეთ. სტაროკონსტანტინოვკის მიმართულებით მტერი კონტრ-იერიშით უკან დავხიეთ. ჟმერინკას მიმართულებით მტერმა შემოგვიტია და დაიჭირა ზინკოვი. (?)

ვარშავაში

შიროკაია. აგვ. 9. სარნაში ტყვე პოლონელი ჯარისკაცები გადმოგვცემენ, რომ ვარშავაში უმუშევრობაა. მოკავშირეების მიერ გაგზავნილი პური ჯარს გადაეცა.

დეზერტირების გამოცხადება.

ტამბოვი. აგვ. 10. აქ მოსული ცნობები, თეთრგვარდიელთა ჯარის სულიერი განწყობილება დაცემულია. ოფიცრები ნაწილებს სტოვებენ და გარბიან. წითელი ჯარის დისციპლინა და სიმტკიცე მათ თავზარ სცემს. მრავალი გადმოდის ჩვენ მხარეზე. დეზერტირობა ჰქრება. ივლისის 13, 8759 დეზერტირი მოვიდა თავის ნებით, 15 ივლისს 32,000 მოვიდა. სულ 60,000-მდე: ორენბურგიდან ცენტრში 300,000 ფუთი პური გაიგზავნა. აპირებენ კიდევ 200,000 ფუთის გაგზავნას.

უკრაინის ჯარების ცნობა.

კიევი, აგვ. 9. ლიტინის რაიონში მტერს გამოცოცხლება დაეტყო. დნესტრის ხაზზე სიწყნარეა. მალაეტში და კრასნია-გორკა ბრბოებისაგან გავსწმინდეთ. ტიტერის რაიონში ბრბოები დავამარცხეთ. პრილუკსა და ტურბოვის რაიონში ბრბოები გავანადგურეთ. ბოტაშ-იაროვატკა-ხრისტინოვკას რ. გ. ხაზი ბრბოებისაგან გაიწმინდა. ჩვენი ჯავშნიანი მატარებელი სოფ. მოლოდეცკოეს, სადაც თავი მოიყარა ბრბოებმა, უშენს.

რაკოვსკის მოწოდება.

კიევი, აგვ 10. რაკოვსკიმ აჯანყებულ გლეხთა მიმართ მოწოდება გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ დანაშაული ეპატიებათ თუ ისინი 3 დღის განმავლობაში გამოცხადდებიან წითელ ჯარში და იარაღს ჩააბარებენ. ღარიბებს და საშუალო შეძლებულებს ეცხადებათ რომ ომის დროს მიყენებული ზარალი ანაზღაურებული იქნება.

მოსკოვი, აგვისტ. 11. **სამხედრო ცნობა.**

ჩრდილოეთის ფრონტი.

მეეოზერის რაიონში, პეტროზავოდსკის მიმართ. ჩვენ რამოდენიმე სოფელი დავიჭირეთ. ხელში ჩავიგდეთ ტყვის მფრქვეველები, თოფები ტყვია-წამალი, სურსათი და სხვა სამხედრო მასალა. ოლონეცის მიმართ. სანდერის ტბის გარშემო სოფლები დავიჭირეთ.

სამხრეთ დასავლეთის ფრონტი.

ჟმერინკას რაიონში ვინნიცას სამხრეთ დასავლეთით სოფლები დავიჭირეთ. კრივოროგის რაიონში ბრძოლაა. ჩრდილოეთით მტერმა სად. ზნამენკა დაიჭირა.

სამხრეთის ფრონტი

პოლტავის მიმართულებით სადგური გოგოლევო დავსტოვეთ. ასტირის მიმართ. ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და ჩრდილოეთით 20 ვერსზე გავიდა. ჩვენ ნოვოხოპერსკი დავსტოვეთ. კამიშინის რაიონში ბრძოლა გრძელდება.

აღმოსავლეთის ფრონტი

ურალსკის რაიონში ჩვენ ლბიშენსკი დავიჭირეთ. ორენბურგის და სტერლიტამაკის რაიონში ჩვენი შეტევა გრძელდება. წამოვიყვანეთ ასი ტყვე. ვერხნეურალის რაიონში 60 ვერსის ხაზზე ბრძოლაა, ტიუმენის მიმართულებით იალუტოროვსკის რკინის გზის ხაზზე ვუტევთ.

მოხალისეთა სიმხეცე

სამარა. აგვ. 9. ორენბურგის ფრონტზე სოფ. პეტროვსკში ყაზახებმა დახვრიტეს 75 გლეხი რომელთაც ჩვენ მხარეზე გადმოსვლა სურდათ.

ბოლშევიზმი კოლჩაკის ჯარში

სამარა. აგვ. 10. კოლჩაკის მსროლელთა პოლკი, რომელიც მიტინგის გამართვას შეეცადნენ, ზურგში გაიგზავნა. ფრონტს ყაზახები ამაგრებენ. აჯანყდა შესავსებად გამოგზავნილი პოლკი, რომელსაც იარაღი აჰყარეს.

ჰუნგრეთში

ლიონი. აგვ. 11. ერცჰერცოგ იოსების მთავრობამ მიიღო დროებითი ზავის პირობები, რომელიც რუმინიის სარდლობამ წარუდგინა.

ნაუენი, აგვ. 10. ვენიდან მოსული ცნობით ბუდაპეშტში ჰეროპლანებიდან ჩამოყარეს პროკლამაციები სადაც მოუწოდებენ მეფობის აღდგენას. ხმები დადის რომ ბელგიის მეფე-დედოფალი რომელნიც ერცჰერცოგს ენათესავებიან პარიზში აგიტაციას ეწევიან რათა უნგრეთის მმართველობა ერცჰერცოგსთვის გადაეცათ. იუწყებიან თითქოს ყოფილ მეფეს კარლოსს შვეიცარიიდან ვენაში გაეგზავნოს რწმუნებულები იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ რამდენად შესაძლებელია მეფობის აღდგენა უნგრეთსა და ავსტრიაში. იტალიაში ერცჰერცოგის იოსების მმართველობის ხელში გადასვლამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. იტალიის გაზეთები იხსენიებენ, რომ ყოფილი მეფე კარლოსი გადადგომამდე უნგრეთის სათავეში ერცჰერცოგი იოსების დაყენებას, აპირებდა, თავის მოადგილედ.

ჰუნგრეთის ახალი მთავრობის წევრები პარასკევს საღამოს პირველად შეიკრიბნენ. მინისტრთა საბჭომ დაადგინა ერცჰერცოგ იოსები აღიაროს უნგრეთის მმართველად დამფუძნებელ კრების არჩევნებამდე. შემდეგ მინისტრ-პრეზიდენტის თხოვნით რიკსრატში, მოვიდა ერცჰერცოგი იოსები ფიცის მისაღებად. მინისტრი მას სიტყვით მიესალმა, რის შემდეგ მინისტრებმა ახალ მმართველს შეჰფიცეს, ერცჰერცოგმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა და სთხოვა მინისტრებს მხარი დაუჭირონ მას უნგრეთის აღდგენაში.

რუმინიის მთავარი ბანაკის ცნობით, რუმინიის დივიზიამ ჰუნგრეთის წითელ ჯარს იარაღი აყარა. რუმინიის ჯარი გადავიდა და ბუდაპეშტის მარჯვენა სანაპირო ნაწილი დაიჭირა. უნგრეთის მთავრობამ საზავო კონფერენციას წერილობითი თხოვნა გაუგზავნა, რომელშიც სთხოვს აღიაროს მისი უფლება აცნობს თავის მიზნის გამოთქმით, როგორც მანიფესტში, აცხადებს დამფუძნებელი კრების მოწვევას.

კურლოვის დაპატიმრება.

ბობრუისკი. აგვ. 7. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ვარშავაში დააპატიმრეს ყოფილი ჟანდარმების უფროსი კურლოვი, რომელიც კამაროვის გვარით სცხოვრობდა.

გაფიცვების ორგანიზაც. გერმანიაში

ნაუენი. აგვ. 10. პრუსიის გზათა მინისტრმა ეზერმა მოწოდებით მიმართა რკ. გზ. მოსამსახურეებს, რომელშიც აღნიშნავს იმ საშიშროებას, რომელიც შეუძლია გამოიწვიოს გერმანიის ეკონომიურ ცხოვრებაში, მრავალ ადგილას გაფიცვის მომწყობ ორგანიზაციების დაარსებამ.

პოლონეთის კაბინეთის გადადგომა.

ბობრუისკი, აგვ 10. „გაზეტა ვარშავსკაია“ იუწყება, რომ პოლონეთის კაბინეტი სრულის შემადგენლობით გადამდგარა. ფიქრობენ. შეადგინონ პარლამენტი.

ფრანგული პრესა

რუმინეთის ჰუნგრეთის გარშემო

გაზ: „ენტრანსიჟან“-ი სწერს: „დღეს ამერიკული გაზეთი აცხადებს, რომ რუმინელებმა ბუდაპეშტი უნდა დასცალონ. თუ ხსენებული გაზეთი ისე იქცევა, თითქოს მისი პირით ამერიკის მმართველი წრეები ლაპარაკობდნენ, მდგომარეობა მაინც ვერ შეუცნია მას. მადიარებმა საკმარისად დაამტკიცეს თავისი ორპირობა და მათ მეზობლებს ისეთივე საფრთხე მოელით, როგორც საფრანგეთს. მოკავშირენი ფრთხილად უნდა იყვნენ, სანამ უნგრელებისთვის იარაღი არ აუყრიათ და თავისუფლად ხალხის წარმომადგენელთაგან შემდგარი მთავრობა არ აიღებს ხელში ძალაუფლებას. ჰუნგრეთის ახალი მთავრობა კონფერენციამ უსიტყვოდ აღიარა. ის პირნი, რომელნიც ახალ მთავრობაში შედიან ბოლშევიკების და ბელაკუნის დამხობის გამომწვევნი არიან. ამ მთავრობამ კონფერენციის ყველა მოთხოვნილება შეასრულა და პირდაპირ მას დაუმორჩილა. კონფერენცია და განსაკუთრებით ამერიკის დელეგატები დაპირდნენ, რომ უნგრელებს რუმინელებისაგან დაიცავენ. თუ ეს არ შეასრულეს კონფერენციას სახელი გაუტყდება. მარტო რუმინიამ ამერიკას 40 მილიონი დახარჯა. ბუდაპეშტში შიმშილია, რადგანაც გლეხებმა ბელაკუნის ქალაქს ბოიკოტი გამოუცხადეს. რაც შეეხება რუმინელებს, ავსტრიამ რუმინია ააოხრა და ეხლა, შეიძლება ითქვას, რომ რუმინელები წართმეულის ნაწილს იბრუნებენ და რეკვიზიციები ანაზღაურებას უდრის. ამერიკელ საზოგადო მოღვაწეთა აზრით, ბუდაპეშტის ბოლშევიკების დაცემა უდიდესი მნიშვნელობის ამბავია ევროპაში და ამასთანავე, აღნიშნავენ, რომ ეს თვით ხალხმა ჩაიდინა. ამერიკელებს სწამთ, რომ ბელაკუნი მართლა დამარცხდა და რომ ეს დამარცხება მოჩვენებული არაა, როგორც ამას ფრანგული პრესა ამტკიცებს. ცხადია, რომ რუმინელები ამის გამო კონფერენციას მიატოვებენ. მათი უკმაყოფილება წინადვე იქნა გამოწვეული იმით, რომ ბესარაბია მათ არ გადასცეს. რუმინელები თავის საქციელს იმით ხსნიან, რომ მათი სურვილია ჰუნგრელებს დროებითი ზავის პირობები შეასრულებინონ.

მინსკი განსაცდელში.

№ ის არმიის შტაბი. ბელორუსიის სატახტო ქალაქ მინსკს არაჩვეულებრივი რევოლიუციონური აღფრთოვანებით იცავენ. წითელი ჯარისკაცები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალიზმის იდეალისთვის ისე იბრძვიან როგორც ვეფხვები. ყველა პარტიული მუშაკები მინსკში ბრძოლის ხაზზე არიან.

ვილნოში.

ბობრუისკი, აგვ. 7. „კოვნენსკაია გაზეტა“ სწერს, რომ ვილნოში შიმშილობაა. ქალაქში სახადია გავრცელებული. მცხოვრებლების 3 მეოთხედი უსაქმოთ არის. სპეკულიაცია და ბოროტმოქმედება გავრცელებულია.

№ არმიის შტაბი, აგვ. 8. ცნობები მოვიდა, რომ ციმბირის სამღვდელოება კოლჩაკს ოპოზიციაში ჩაუდგა. მის წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილე რამდენიმე მღვდელი დააპატიმრეს. ციმბირიდან ჩამოსულთა სიტყვით, ომსკის მთავრობის დეორგანიზაცია დაიწყო. ყველაზე ცუდ მდგომარეობაში განათლების და შრომის სამინისტროებია. განათლების საქმე ჩაკვდა. კოლჩაკის ხელში მყოფი ქალაქები უნუგეშო მდგომარეობაშია. ციმბირის საქალაქო და საერობო თვითმართველობებმა მეურნეობა დააქციეს თეთრგვარდიელთა „მთავრობის უწყება“-თა ცნობით, იაკუცკის საოლქო ერობას არავითარი სახსარი არ მოეპოვება და გადასახადების აკრება უძნელდება. ქალაქის საბჭოების ახალი არჩევნები არ მომხდარა. საადგილმამულო, სარეწაო და სხვა გადასახადები იზრდება. იმავე გაზეთის ცნობით, ხაზინის შემოსავლის მთავარ ნაწილს შეადგენს ღვინის და არაყის გადასახადი. ასეთია თეთრგვარდიელთა ქალაქების მდებარეობა.

ქართულ სატეხნიკო ლექსიკონისთვის

სატეხნიკო საზოგადოებას გამოსაცემად დაუმზადებია დიდი ტანის ქართული სატეხნიკო ლექსიკონი.

ეს უკანასკნელი სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავება მეტად თვალსაჩინო და დიდ კულტურულ საქმეს წარმოადგენს; საზოგადოებას გამოუყენებია ყოველი დარგი ტეხნიკისა, სამხედრო ტეხნიკა, გამოყენებითი მექანიკა, ყველა ტეხნოლოგია, საგზაო, სამთამადნო დარგი სანავსნო და არტილერიის ტეხნოლოგია, ფიზიკა, ქიმია, თეორიული მექანიკა, მინერალოგია, გეოლოგია, გეოდეზია და ტანვარჯიშობის საზოგადო ტერმინოლოგიაც კი საზოგადოებას დაუმუშავებია და გადმოუქართულებია ყველა ტერმინი.

მთელი მასალა შეიცავს რვა ათას ხუთასს (8500) სიტყვას, მის დროზე გამოქვეყნება საკმაოდ ხელს შეუწყობს ტეხნიკის ყველა დარგის, ყველა სამეცნიერო დისციპლინის ეროვნულ ნიადაგზე აყვავებას და წარმატებას, ხოლო დღეს უცხო ენაზე მოაზროვნე ქართველ ინტელიგენტებს, მეცნიერულ მუშაობის დროს, ძალიან მალე მისცემს ბუნებრივს ეროვნულს გზას.

ამრიგად საქართველოს ტეხნიკოსთა საზოგადოებას მზადებს დროზე დასტამბოს თავის საგულისხმიერო ლექსიკონი, მაგრამ ნივთიერი ხელმოკლეობა მას ამის საშუალებას არ აძლევს.

როგორც მოხსენებიდან სჩანს, ამ ჟამად მას ამ საქმისთვის სჭირდება 50—54 ათასი მანეთი.

სამწუხაროდ, არც განათლების სამინისტროს მოეპოვება თავისუფალი თანხა, რათა სათანადო დახმარება აღმოუჩინოს ტეხნიკოსთა საზოგადოებას ლექსიკონის დაბეჭდვაში, რომლის საჭიროება და მნიშვნელობა ჩვენს ცხოვრებაში, აშკარად დიდია.

ქართულ სატეხნიკო საზოგადოებამ იშუამდგომლა მინისტრთა საბჭოს წინაშე, რათა საქართველოს სატეხნიკო საზოგადოებას ლექსიკონის გამოსაცემად მისცეს ათ-მილიონიან ფონდიდან 50,000 მანეთი.

გვაქვს სრული იმედი, რომ მთავრობა უყურადღებოდ არ დასტოვებს სატეხნიკო საზოგადოების შუამდგომლობას და მით ხელს შეუწყობს ქართულ ტერმინოლოგიის აღორძინებას.

კორესპონდენცია

ხამეგრელო.

აბაშის რაიონი მნიშვნელოვანი რაიონია სამეგრელოში ეკონომიურად. ეს რაიონი მეზობელ რაიონებსაც და აგრეთვე ახლო-მახლო ქალაქებსაც აწვდიდა სურსათ-სანოვაგეს და ეხლა კი თვით სრულ უიმედობას გვიხატავს მომავალ მოსავლით. წლეულს ნათესი ბევრი იყო და ყანებიც შეძლების დაგვარად დამუშავებულიც ჰქონდა გლეხობას, მაგრამ წლევანდელმა წელმა პირდაპირ დალუპა გლეხობა წახდა ხშირი წვიმებისაგან, დიდი შრომით და მუშავებული ყანები... განიავდა, დაჰქნა სიმინდი და სიმშილის აჩრდილი კარზე ადგა აბაშის გლეხობას.

ახალ მოსავლის მოლოდინით გულაცრუებულ გლეხობას ხელიდან გლეჯენ, ნაწილს იმ დარჩენილ სიმინდისას, რომელიც დარჩათ გაუყიდავი მათ, და ეზიდებიან სხვა და სხვა ჯურის სპეკულიანტები. ვინ არ გინდათ აქ არ იყოს ჩამოსული სავაჭროდ და სიმინდს არ ეზიდებოდეს: სომეხი, ბერძენი, რუსი, ჯავახელნი და სხვანი... სცლიან სამეგრელოს სიმინდიდან იმ დროს, როცა შინ ახალი მოსავლის იმედი თითქმის სულ დაკარგულია.

სხვათა შორის აბრეშუმის პარკის მოყვანაში სამეგრელოსთან ერთად, აბაშის რაიონიც ცნობილი იყო. სავაჭროდ ამ პარკისა აქ ხშირად ჩამოდიოდენ უცხო ქვეყნის ვაჭრები და დიდ ფულსაც სტოვებდენ პარკის სანაცვლოდ. ასე რომ, ამ დარგს დიდი საშუალება მოჰქონდა სოფლისათვის. მაგრამ წლევანდელ წელს, ამანაც გული გაუტეხა აბაშის რაიონის გლეხობას. წახდა აბრეშუმის მოსავალი, მაგრამ ზოგან სადაც „შინა თესლი“ ჰქონდათ ყველგან მოვიდა მოსავალი, და რით აიხსნება ეს? ცხადია რომ მიზეზი შემდეგშია, ადგილობრივი ერობამ თესლი თავის დროზე ვერ მიაწოდა სოფელს, და რაც მიაწოდა დაგვიანებისა გამო ისიც გაფუჭებული. ვისაც ცოტა პარკი ჰქონდა ამ სახით შენახული და ნათესი ისიც ძალიან ამოიღო რათა, რატომ უწინდელივით არ გაყიდა და ფული არ აშჯობინა, აბდენ შრომას და ძალიან პარკს რთესა? როდის უნდა გაეყიდა, როცა ვაჭრებმა არ იყიდეს, რადგანაც ამისი არც საშუალება ჰქონდათ და არც ხალისი ვინაიდან ძველი ნაყიდი პარკის აღწერა მოახდინა ადგილობრივ კომისარმა ამის შემდეგ მათ ამ საქმის ხალისი წაერთოთ და ამის შემდეგ ისინი პარკს არ ყიდულობდენ. აი ეს იყო მიზეზი პარკისადმი გულ ცივობისა, გლეხობამ იგრძნო რა ყველა ეს აშჯობინა, რომ ძალიან ამოიღო მისი პარკი. და აგი ვისაც ჰქონდა პარკი, რომ არ ეზარალა ძალიან ამოიღო კიდევაც. ამრიგად ეს ერთი წყარო ადგილობრივი ცხოვრებისა დაშრა და მას დიდ საფრთხეს უქადებს.

№.

წერილი სახერიდან

საზოგადოდ სოფლის ხალხის კეთილდღეობა წლის მოსავალში გამოიხატება. თუ ჩვენ გლეხს საზრდო აქვს კონებრივი, — მთავრობის წესწყობილებით შექმნილი სამართლით კმაყოფილია იგი ბედნიერად გრძნობს თავს, თვით გონებრივ საზრდოს არ დაგიდევს, მაგრამ სამაგიეროდ იძლევა შვილს სკოლაში და მთელ თავის ძალას სახელმწიფოს განსამტკიცებლად — გასამაგრებლად. ჩვენსკენ წელს საუბედუროდ ამ ბედნიერებას მოკლებული ვიქნებით, რადგან მოსავალი წარსულ წლებზე ნაკლები სჩანს. ჯერჯერობით პურისა და ქერის მოსავალმა ძალზედ დააფრთხო ხალხი. სულ არ არის პურის ძნებით გაშლილ კალოზედ რომ ოთხი კოდი აილო ექვს პურის მარცვალს თუ იპოვით შიგ. ასევე დაემართა ქერს. ვენახები დღემდე არსებულმა სიცივე და წვიმებმა გააშავა, გახმა და ჩამოცვივდა, რის მიზეზით უქმად ჩაიარა გაწეულმა ხარჯებმა, რაც შეეხება სიმინდს კი რომლის მოსავალზედაც აკინძულია ჩვენი ცხოვრება, თუ ამ ორ სამ დღეში მაინც არ გაავდარდა ისიც დაგვეღუპება და შიმშილის წინ აღმოვჩნდებით.

ძარცვა-გლეჯას ჩვენსკენ წარსული წლიდან აღარ აქვს ადგილი. ქურდბაცაცებიც მოისპენ თუ ასე ითქმის ჯერობით, მაგრამ სპეკულიაციას კი უმაღლეს წერტილზე არის ასული. ასე რომ ფქვილებს, სიმინდს და მრავალ სხვა საჭირო საგნებს, რომ რკინის გზა ველარ ასწრობს სადგურებში, იგი ფოსტით იგზავნებიან და ჩვენთვის სანატრია ვიცოდეთ რაღას გეზავლობს გამგზავნი ან კიდევ ჩვენი დედა-ქალაქი თბილისი, რომ იტევს ამაებს თუ ბაქო-ერევან ჯულფის მიდამოებს ეფინება ადგილობრივ სანატრი ჩვენი სიმდიდრე?

ბოროტი განზრახვების ადგილს თანდათან კეთილი განზრახვები იჭერენ. ზაფხული ჩვენთვის ნეტარებაა სოფლებს ეფინება მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელთაც საზოგადო მიზნით საღამოებისა თუ წარმოდგენების გამართვა ეხერხებათ. ასეთ საღამოებს სახერის მიდამო სოფლებში არა ერთხან მართვენ და ყოველგან მრავლად შემოდის ფული. სოფელ ივანწმინდაში გამართულმა საღამომ ბ. კოწია და ქ-ნ ქავ—ს ინიციატორობით სულ სამი-ათასი მან. დასტოვა. მათი ზრუნვა ამავე სოფლისათვის საკითხველოზედ არის აგებული და იმედია მიზანსაც მიაღწევს იგი მათი ენერგიული მოქმედებით.

მთები რომელნიც დღემდე საზოგადო ქონებებს უფრო შეადგენდენ ვიდრე კერძოს ხაზინის ხელში გადავიდენ და ჯერობით მათი მის დროზედ მოუწყობელ სარგებლობაზედ ხალხი დრტვინავს და გოდებს—რადგან ზამთარი მოგვადგა—შეშა არ აქვს. ღირსანიშნავია რომ გაცემა არენდით ჩამორთმეულ სიმდიდრეებისა საფრთხილოთ არ ხდება და ჯერობით იჯარითაც ნაკლები სარგებლობას ჰპოულობს სალაროები. სოფელ ჩიხაში, რომელიც დ. სახერის ახლოა, ათ დესეტინამდე ბუჩქნარით საბალახეთ სარგებლობდენ ამავე სოფლის ხალხი. დღეს ეს ბუჩქნარი არენდით ზ. აბრამიშვილს უჭირავს აუყვნია ადგილობრივი ებრაელების თხა-ცხვარი და ხბო-ძროხები და აბალახებს და მკვიდრი მცხოვრებნი კი იძულებული შეიქმნენ წვრილფეხი საქონელი გაეწყოთ. ასეთი განკარგულება ემატება მრავალ უმსგავსო წესებს და ხალხი უკმაყოფილებას გამოსთქვამს, მაგრამ ნათქვამია ყადმა რომ დედა შეგვაგინოს ვიღარავისთან ვერ იჩივლებო და ჩვენი ყადებიც განაგრძობენ ხალხის ლანძღვას. არც ვაჭრობა მრეწველობის მხრით ვართ ზემო იმერეთით კმაყოფილნი.

აშკარაა რომ ვერც სპეკულიაციას გაუმკლავდით და კონკურენციაც ვერ გაუწიეთ დახელოვნებულ ვაჭრებს კავშირებისა და კოოპერატიულ დუქნების შექმნა დაარსებით. მიუხედავად იმისა რომ გაზეთების ცნობით მავან პირებს უნდა შეეძინა და მოეწოდებინათ საზღვარ გარეთელი საქონელი, რომელთაც მთავრობა ხელს უწყობს მათ კერძო ვაჭრების მოტანილი საქონელი უფრო ასწრობს. ამ დღეებში სტამბოლიდან ორმა დ. სახერის ვაჭრებმა ძალზედ დიდი საქონელი შემოზიდეს. მათი ამ საქონლის ბრუნვა მილიონამდე მიაღწევს რადგან მას სიცოცხლე ეტყობა ყიდვა-გაყიდვაში.

ჩვენი კოოპერატივ[illegible] პერანგებით, შავი ფხვნილი მარილით და სანავთე თუნუქებით არის ავსილი. მაშინ როცა მათ მეტი თანხის შეგროვება შეუძლიათ საქონლის შესაძენად. ამ საგანზედ დალაპარაკებულს ერთმა კოოპერატორმა, რომელსაც ფოთს იქით გზა არა ჰქონია მოთმინება იქონიეთ მიპასუხა და ჩვენც უცდით.

რომ ხანგრძლივი დრო გაივლის ევროპა ჩვენ ჩვეულებრივად შემოტანილი საქონლით ვერ გაგვიმასპინძლდება ამას ჩვენი ხალხი მიხვედრილია, ამიტომაც ძალზედ მეტ ბამბასა და მატყლს თხოულობს იძენს ზღაპრულ ფასებში სპეკულიანტ ვაჭრებთაგან. რადგან იგი მისგან ნდობით აღჭურვილ დუქნებს არ აქვს. ამით ქსოვენ ტანის დასაფარავ ტანსაცმელებს მრავლად შეძენილ საქსოვ თუ სართავ მანქანებზედ და ბაზარზედ თუ რა ფასებში გაყიდიან მკითხველსაც ეცოდინება—ეს საშუალებები ვერ აკმაყოფილებს საზოგადოებას. ხალხი მაინც სიტიტვლეს განიცდის, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

გალ. ქავთარაძე.

მიმოსვლა
სახალხო მატარებლებისა
ს. ს. რკ. გზ.

გადის თბილისიდან.

ფოთში	№ 21	ღამ. 12 ს. 5 წ.
ქუთაისში	№ 10 9	სალ. 8 ს. 7 წ.
ბათომში	№ 5	სალ. 5 ს. 4 წ.
ფოთში	№ 3	დილ. 9 ს. 56 წ.
ბათომში	№ 1	ღამ. 11 ს. 30 წ.

მოდის თბილისში

ბათომიდან	№ 2	დილ. 7 ს. —
ფოთიდან	№ 4	სალ 8 ს. 45 წ.
ბათუმიდან	№ 6	შუად. 12 ს. 10 წ.
ქუთაისიდან	№ 11,12	დილ. 9 ს. 30 წ.
ფოთიდან	№ 22	დილ. 6 ს. 06 წ.

თბილისი-სალოღლი

გადის სალოღლში

№ 8	საღამოს 6 ს. 5 წ.
№ 6	შუადღის 2 ს. 32 წ.
№ 4	საღამოს 9 ს. 50 წ.

მოდის სალოღლიდან.

№ 3	დილის 7 ს. 27 წ.
№ 5	ნაშუად. 3 ს. 5 წ.
№ 7	დილის 11 ს. 52 წ.

თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.

გადის

№ 63	შუადღის 2 ს. 40 წ.
№ 61	დილის 7 ს. 52 წ.
№ 19,20	შუად. 3 ს. 26 წ.

მოდის:

№ 19,20	დილ. 6 ს. 30 წ.
№ 62	დილ. 11 ს. 24 წ.
№ 64	სალ. 8 ს. 4 წ.

თბილისი-სანაინი

გადის:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მოდის:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო სისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონელის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

საექიმო კაბინეტი
ექ. პ. ტუღუშელაშვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

ბ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სოლენოიდი და [illegible]სევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძის
[illegible]
იღებს კანის, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ ტელეფონი 14—23.

ტრფობა წამებული

(ისტორიული რომანი)

74.

— მე, როგორ გრძელდება დღეები! აღარ გადის დრო, უძრავად [illegible] გარინდებული. ნუ თუ ჯერ ორი კვირაც არ გასულა, რაც აქა ვარ?!

არ გასულა, ჩემო კარგო! დღეს ხუთშაბათია. ხვალ მოვა მოძღვარი და აღსარებას გათქმევინებს. შაბათს ეღირსები წმინდა ზიარებას. ნუ დრტვინავ, ნუც სულმოკლეობ: ცოდვა იქნება მოწყენა საიდუმლოს მიღების წინ, უთხრა თემისტემ შუქურს.

და შეეცა ლოცვანი, დაიხარა, აკოცა ხელზედ, ძაძით მოსილ მუხლზედ თეთრად გადმოდებულ მაჯაზედ. ქალმა მოჰხვია მონაზონს მკლავი, გულში ჩაიკრა.

— სახიერო მეუფე და ყოვლად მოწყალე: თუ შენ არ მოველინე ჩემ სანუგეშებლად, სრულებით ვერ გავუძლებდი, საშინლად დავიტანჯებოდი.

— მე, განიცადე! გამხნევდი. თუ...

[illegible] შეწყვიტა მონაზონმა სიტყვა. სულ სხვა სთქვა ხმამაღლა:

— ისმინე, რა კარგი სიტყვებია, რა მშვენიერი აქმა არის: მიწყალე მე, უფალო. რამეთუ უძლურ ვარ! სული ჩემი შეძრწუნდა ფრიად და შენ, უფალო, მწე მეყავ მე! ნუ გულისწყრომითა შენითა მამხილებ მე, მეუფეო ჩემო!“

იმისთვის შესცვალა მწირმა სიტყვა და განაგრძო კითხვა, რომ მის მახვილ ყურს, მონასტრის სახლის წესებით მეტად განმახვილს, მოესმა ფეხის ხმა ნელი. დედა თებრონია არა ერთხელ მოუვლიდა სავანეს, მზირ თვალს მოავლებდა დათა კრებულს თუ განდეგილად დაყუდებულებს, რომ მსწრაფლ გაეხსენებინა მათთვის მოვალეობა, თუ რომელსამე მათგანს სძლევდა მაცდური და წმიდა ცხოვრებას თუნდ ოდნავ შეურხევდა. სასტიკი იყო დედა თებრონია, როცა ვისიმე მახლობლად შენიშნავდა ეშმაკს ბოროტსა, მის მანქანებას მაცთუნებელსა.

— ნათესავი ესე ბილწი განიდევნების მხოლოდ ლოცვითა და მარხულობითა; იტყოდა მკვეთრად.

და დაუწესებდა შემცოდეს არა ერთ მეტანიას, მრავალ ლოცვის წართქმას, დიდ მარხულობას არა მხოლოდ პურით, არამედ წყლითაც. დასჯილს კედლების ქვებიც პურად ეჩვენებოდა, ფოთოლთ შრიალი წყაროს ჩხრიალად; განილევოდა იგი ხორციელად, განხმებოდა ქარქვეტისაებრ, გარნა გაიფურჩქნებოდა სულით, ზე ამაღლდებოდა, ცის მცხოვრებთ შეედრებოდა, ხორციდან დახსნილი ზეციურ სულით. ამისი ეშინოდა მწირს, მისთვის შესცვალა მან სიტყვა თავისი. საბრალოს გულში ჯერ კიდევ არ გამომშრალიყო იგი ჩვეულ გრძნობათაგან; არ გამოეფიტა, არ გამოეხმო უკაცურობის ალს. იმისთვის ებრალებოდა ეს უცხო პატიმარი, თავის უნებლიეთ მონაზონთ ქმნილი, შურით თუ მტრობით გარსშემორტყმული.

— ჰგონია საწყალს, აღსარებას ათქმევინებენ, აზიარებენ და ნებას მისცემენ, კვლავ დაბრუნდეს სასახლეში. არა, ჩემო კარგო! ვინც ერთხელ შემოაგა ფეხი ამ სავანეში, ის საუკუნოდ მოსწყდა ცხოვრებას: მონასტერი არავის უშვებს თავის ბლუდიდან, არასოდეს არვის უტევებს, გაიფიქრა გულჩვილმა.

განაგრძო კითხვა. კითხულობდა მონაზონი ღვთაებრივ ნათქვამს, წარსთქვამდა [illegible], ერთგვარ გამოთქმით. ქალის ფიქრი კი გაფრენილიყო საშინელ ციხე-დარბაზისაკენ, თავს ევლებოდა იქ თავის მეფე აშოტს, ვაქკაცს გამიჯნურებულს, თავის ნუგეშის შეუდარებელს. ვერ გაეგო ქალს, რა იყო მათ ტკბილ სიყვარულში საგმობ-საძრახისი, წინააღმდეგი ღვთისა თუ კაცისა; რადა სტანჯავდნენ ესე უწყალოდ.

ძნელ ცხოვრებად შეეცვალა შუქურს თავისი ფუფუნება, ყოფა სათუთი. პაწაწა სენაკი, ხმელი ლოგინი, [illegible] საჭმელი უგემური და ისიც მცირე; მარად ჟამს ლოცვა, განუწყვეტელად საყდარში დგომა. არავითარი გასართობი, არც ერთი სხივი სიხარულისა, არც ღიმი ლამაზი სიამ-ტკბობისა. პირველ კვირას კიდევ მხნედ იტანდა გასაჭირს; ეგონა, ეზიარებოდა და მაშინვე წავიდოდა სასახლეში. ძალიან დალონდა, როცა გამოუცხადეს:

— მხოლოდ ერთი კვირის ლოცვა-მარხულობა ვერა კმარა წმიდა გყოს იმდენად, რომ ღირსი შეიქმნა ზიარებისა.

მეორე კვირა უფრო მძიმე იყო მისთვის. სწორედ დაავადდებოდა ჯავრით, თუ მხსნელი ანგელოზად არ მოევლინოდა დაი თემისტო, მისთვის საკვირველად გულჩვილი, მისი სათაყვანოდ მოყვარული. ჰკოცნიდა, გულში იკრავდა, თუ კი დროს ჩაიხელებდა. თემისტიას გულში კიდევ ღვიოდა ნაკვერი ლბილის გრძნობისა და იგი ნაშთი ტრფობისა თავს შემოავლო ამ უცხო ქალსა საუცხოვოსა. შეიყვარა იგი, გრძნობით მდუღარით, ეტრფიალა მას მის სანუგეშოდ, თვისიც გულისა მოსოხებლად.

ზიარების შემდეგაც არ გაუშვეს ქალი, არ გაანთავისუფლეს გაუკვირდა ეს შუქურს, დიდად ეწყინა; სწორედ გაჯავრდებოდა, თუ კი შესძლებოდა განრისხება. კარგი იქმნებოდა, თუნდ გამძაგებულიყო: გულს მოიოხებდა; არ შესდგამოდა მას ეს ზნე, სრულებით არ ეხერხებოდა განრისხება სახიერს.

თანდათან შეავიწროვეს ქალი, ნელნელა დაუმორჩილეს ის სავანის წესებს თუ კანონებს. უბრალო გასართობის ნებასაც აღარ აძლევდნენ მას: მოითხოვა თავისი ქარგა და ფარჩაფერადები, იმათ ბეჭი მისცეს ხელში და შალის საქსოვ ყდას ჩუსვეს სხვა მუშებთან ერთად; მოითხოვა თავის ტანისაცმელი თუ თეთრეული, არ უმინეს, შალით და ხამით აკმაყოფილეს. ახ, რა სხვილეთა ზეწრ უჩვევ კანს არ ასვენებდა! სთხოვა, ნება მიეცათ ხანდისხან ჰაერზედ გასულიყო, თავისუფლად ამოესუნთქა, თვალი მიევლმოევლო მიდამოსათვის, იცხოვეს ესეთი სურვილი, უფრო მაგრა ჩაკეტეს პატიმარი. მის წერილებს არსად ჰგზავნიდნენ, იქვე ინახავდნენ. მისწერა წიგნი მეუფე-მიჯნურსა, პასუხი არ იყო; გული გაილია ამაო ლოდინით.

— დამივიწყა! იქნება მთლად ამოიფხვრა მისი ხსოვნიდან ჩემი სახე, სახსენებელი. მეგონა, მსწრაფლ მოვიდოდა, გამომიხსნიდა ტყვეობიდანა. ახ, რად არ ვუსმინე დავედრებულს, რად დავმორჩილდი იმ ბერის სიტყვას?! უნდა მომეცადნა, მეკითხა მისთვის, იმის ნებაზედ მოქცეულიყავ...

— აშოტის სულის საოხად არისო საჭირო შენი ცოტახნობით განშორება, მისი სიწმიდით დაცვისათვის, რომ ეზიარო, მითხრეს მაშინ. დავუჯერე, ვერწმუნე სიტყვას წმიდისას, მივანდე ჩემი საწყალი თავი ღვთის ადამიანს...

— რა სულმოკლე ვარ! როგორ შეიძლება დამივიწყოს აშოტმა?! რა საფიქრებელია, გატეხოს იმან თვისი რაინდული სიტყვა?! ალბათ ჯერ არ დაბრუნებულა ბრძოლიდან! მაშინვე მოჰოვნიდა, თუ დაბრუნებულიყო: ვერ გასძლებს, არ მომიალერსოს, ვერ დაჰყოფს წყნარად ვერც ერთს დღეს, სთქვა ქალმა.

და შეუვარდისფერდა ღაწვები მარმარილოსი: მოაგონდა შეყვარებული მეფის ალერსი და შეწითლდა, შერცხვა თავისსავე წინ კდემამოსილსა. ღიმი რამ გამოიწვია მის მარჯნის ბაგეზედ დარცხვენამ სასიამომ.

— მიამბობდა ყველაფერს, მომითხრობდა საგმირო საქმეებს, თავის თავგადასავალს. თავს ჩამიდებდა კალთაში, გვირგვინოსან შუბლს ნაზად მოახრის, და ისე მეტყოდა. რჩევასაც მკითხავდა მე საწყალობელს. ვეტყოდი, რასაც ღმერთი მაგონებდა. სიყვარული მიკარნახებდა და იმას ვურჩევდი.

— ჩემი საიდუმლოს შენახვა იცი და გონება ჩემი არასა ჰფარავს შენგან, მეტყოდა აშოტი.

— რითი დავიმსახურე ესეთი ნდობა, ეს დიდი ბედნიერება?! ვილოცო მისთვის, ჩემ ხელმწიფისთვის, ღმერთს შევავედრო მისი ძვირფასი თავი, მისი სახელი ქებით სახსენი.

წარსულის მოგონებით და სცხოვრობდა პყრობილი ქალი დამწუხარებული. მომავალს ითვალისწინებდა, განგრძობას წარსულისას. ნატრობდა, ოცნებობდა. აწმყო კი რკინის სალტებად შემოსჯდომოდა მას, თანდათან უჭერდა, სწურავდა, ჰბორკავდა აუხსნელად, თითქო სამუდამოდ. მადა დაჰკარგა ქალმა. ძილი გაუკრთა. გახდა, ხორცი დაყარა. შეუხუნდა ღაწვთა ფერი ვარდისებური. ნაღვლიან დიდრონ თვალებში გაურკვეველმა რამ შიშმა იწყო გამოკრთომა.

— დღესაც არ შეგიჭამია, შენი კერძი, ქალო შუქიავ. არ შეიძლება! მართალია, ცოტათი უნდა კმაყოფილდებოდეს სხეული, პური ცოდვისა, რომ არ განლაღდებოდეს იგი; მაგრამ საგმობია, არ სცე მიწიერს ჰამადი მცირე: განილევის ფრიად, სიკვდილი მიეწურების და ამის მოჰქმედე ცოდვაში ჩავარდების, თვითმკვლელობის საზინელ შეცოდებაში. სჭამე ყოველთვის! არ მოგწონს? შეეჩვევი! მონასტრის დანი ამით საზრდოობენ მარად კმაყოფილნი, ღვაწლშემოსილნი, უბრძანებდა შუქურს დედა ივდითი.

და მის ბრძანებას ხმელი რომ ბგერა აძლევდა ძალას, მკვახე გამოთქმა, მკაცრი, სასტიკი! ეს ივდითი მონაზონი მარჯვენა ხელი იყო დედა თებრონიასი, მაჯა მსახვრელი, უხილავი რამ შოლტის მჭერელი. მონასტრის დებს ძალიან ეშინოდა იმისი, ერიდებოდნენ. შესაზარი იყო მის ჩაღრმავებულ თვალთაგან ნატყორცი ისარი გესლიანი, მწველი იყო მუნით ნაკვესი ცეცხლი სიძულვილისა, საზარელის რაღაც ზიზღისა. შუქურის სახიერებამ სულიერმა, მისმა სიმშვენიერემ ხორციელმა ვერ მოალბეს გამხმარი გული ბოროტისა; უფროც გაავეს ის: ყოველივე სილამაზე ეშმაკის მახედ დაესახა უსახურს, კაცთა საცთუნებლად დაგებულ ხაფანგად.

ეს დედაბერი მსჯელად და მტუქსველად დადიოდა მთელ სავანეში, სასტიკ დარაჯად ედგა ის სამონასტრო წესს, რომ არ დარღვეულიყო იგი არსად, არცა როდეს, ქრთილის წონაც არ მოჰკლებოდა მას არასგზით. თებრონიას ხელში ივდითი კვერთხი იყო რკინისა, რომლითაც მწყსიდა წინამძღვარი ურჩ თუ შემცოდეთ ეხლაც სენაკები ჩამოეთვალიერებინა მოლოზნებს და დაეხედნა შუქურისათვის.

ვერ მოისვენებდა ივდითი, თუ რამდენჯერმე არ დაეთვალიერებინა შუქურის ბინა, არ გამოეთქვა თვისი უკმაყოფილება, რითიმე არ შეეწუხებინა ქალი პატიმარი. როცა ქვეყანა უარეყო მონაზონს, არა მხოლოდ პირი ებრუნა სოფლისაგან, სიძულვილით შეეძულებინა იგი და მისი ყოველგვარი სიხარული. ეხლა [illegible] ანადგურებდა სავანეში ყოველსავე ნერგს თუ ღივს ხორციელის ნუგეშისას, სპობდა უწყალოდ; აქრობდა ნასახსაც ნივთიერის სიამისა. მონასტრის კრებულს საშინლადა სძულდა ეს ჯალათი, დიდად ეშინოდათ მისი და ერიდებოდნენ. ღვთის შვილი შუქური თრთოდა ბნელისაგან წარმოშობილ ამ ბოროტ არსების წინ.

ვასილ ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.